პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 179 (19920) ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა ყირგიზეთი

დღევანდელი ყირგიზეთი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ ერთიანი ძალისხმევითა და მხარდაჭერით როგორ ვითარდება და მტკიცდება საბჭოთის ძმურ ოჯახში შემავალი ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა, თანდათან როგორ უმჯობესდება მათი მშრომელების ყოფა-ცხოვრების პირობები.

ამის დასადასტურებლად, რომ არაფერი ვთქვათ იმ საუკუნეობრივ ჩამორჩენილობაზე, რომელსაც სწორედ ასეთი თანადგომით დაეღწია თავი ყირგიზეთმა, არცთუ შორეული წარსულის ერთი მაგალითიც კმარა: ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინათ აქ არ პყავდათ საკუთარი სპეციალისტი პიდრომშენებლები და პირველი ელექტროსადგურების ასაშენებლად მრავალი მომმე რესპუბლიკის წარმოგზავნილები ჩამოვიდნენ. ახლა კი აქ აღზრდილი პიდრომშენებელი სპეციალისტები ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და განვითარებადს სახელმწიფოებშიც შრომობენ.

ამავამად რესპუბლიკაში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს გარდაქმნისა და დაჩქარების შეუქცევადი პროცესის წარმატებით მიმდინარეობისათვის. ძირითადად სწორედ ამას აშუქებს დღევანდელ ნომერში რუბრიკით „სსრ კავშირი — ძმობის მისამართები“ გამოქვეყნებული მასალები.

როგორი ზამთარი დაგვიდგება?

ვინ იცის, როგორი, შეიძლება თბილიც, მაგრამ ბუნების წყალობის იმედით ვერ დავრჩებით, რაც გინდა იყოს, ზამთარი ზამთარია. პაპანაქება სიცხეში წელიწადის ამ დროზე რომ ლაპარაკობ და ნინ იყურები, სამომავლო საქმის გეგმაზე ფიქრობ, ყოველთვის გახსენდება ბრძნული ნათქვამი: ზაფხული ზამთრის მუშაო. დიახ, ამთავითვე მთელი მონდომებით, საგულდაგულოდ უნდა მოვემზადოთ ზამთრისათვის.

სხვანაირად რომ არ შეიძლება, ამაში არაერთხელ დარწმუნებულა ჩვენი მხარე. შარშანდელ ზამთარს ხომ, როგორც იტყვიან, მტერსაც არ ვუსურვებთ, სტიქიის ასეთი შემოტევა საქართველოს დიდი ხანია არ უნახავს. თუმცა, არც შარშანწინდელი ზამთარი იყო იოლი, მისი სიმკაცრე შარშანდელმა დაგვავიწყა, თორემ მოსაგონარის მეტი რა გვაქვს.

ჰოდა, ენერგეტიკოსების ენით რომ ვთქვათ, არავინ იცის, რა „სიურპრიზს“ გვიმზადებს 1987-1988 წლის „ჰიკის“ სეზონი, ცუდ დღეში ჩავარდებიან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, მშენებლები, ტრანსპორტელები, სახაგრომრეწვის მუშაკები, საერთოდ ყველა, ვინც თადარიგს არ დაიჭერს, არ განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ზამთარში შეუფერხებელი შუშაობისათვის.

ალბათ, აღარავისთვის არ უნდა იყოს საჭირო იმის შეხსენება, რომ უკვე ბოლო მოელო მატერიალური და ენერგორესურსების უდარდელ და უთავბოლო ხარჯვას. გათვალისწინებულზე მეტ ელექტროენერგიას ან საწვავს ვერავინ მიიღებს. დროის ამ უმკაცრესი მოთხოვნით ყველამ უნდა იხელმძღვანელოს. დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ მეთორმეტე ხუთწლედსა და წლის შემდგომ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარება ძირითადად მომჭირნეობას ეფუძნება.

არ უნდა დავიიწყოთ, რომ საქართველო ზამთარში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდის და ეს დაკავშირებულია საგაზისო სიმძლავრეების უქონლობასთან. წლის მეოთხე კვარტალში ეს დეფიციტი 1.300 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს, პირველ კვარტალში კი 1.800 მილიონ კილოვატსაათს აღწევს. აქედან გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი კილოვატსაათი ენერგიის რაციონალურ გამოყენებას. მომავლისათვის გათვალისწინებულია ქუთაისის თბოელექტროსადგურის მშენებლობა და დეფიციტის შემცირებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიების განხორციელება, მაგრამ დღეს?

დღეისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროულად, მიმდინარე წლის სეზონისათვის დამთავრდება ახალი გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც აზერბაიჯანის თბოელექტროსადგურიდან მოგვაწვდის ენერგიას. აღდგება დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“. ამ უკანასკნელის აღდგენით სამუშაოები, რომლებსაც „კავკასელექტროქსელმშენი“ ასრულებს, განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი.

„საქმთავარენერგოს“ კოლექტივი დროულად შეუდგა ზამთრისათვის მზადებას და არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი ეს სათანადო ნაყოფს გამოიღებს. გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს აგრეგატების კაპიტალური რემონტი, საწვავის მომარაგება თბოელექტროსადგურისათვის, წყლის შესაძლო მაქსიმალური დაგროვება მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურებში. 510 მეტრს მიაღწია ენგურჰესის კაშხალის დონემ. შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია სტიქიის შედეგად დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა. „საქმთავარენერგოს“ ხელმძღვანელობის მტკიცებით, ზამთრისათვის მზადება შეუფერხებლად მიმდინარეობს, განსაკუთრებულ ხელშემშლელ მიზეზებს არ უნიშნავს.

არც იმას უნდა მტკიცება, რომ ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების საკითხი რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის გამართულ მუშაობას უკავშირდება. ამ ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს საქვაბეები მოსახლეობისათვის ზამთარში გათბობის და ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად. მოამზადოს ისე, რომ არ გავხდეთ იძულებული ბინების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების გასათბობად ელექტროენერგია ვხარჯოთ. ამის მაგალითები ადრე, კერძოდ, შარშანწინ და შარშან მრავალი იყო, და ეს აღარ უნდა გამეორდეს.

როგორც კომუნალური მეურნეობის სამინისტროში შეგვატყობინეს, სეზონის დაწყებამდე 163 საქვაბე კაპიტალურად, ხოლო 229 ნეგულებრივი, მიმდინარე წესით შეკეთდება. შეკეთდება აგრეთვე 35 კილომეტრზე მეტი სიგრძის თბოქსელი, დაიდგმება ახალი მოცულობები 24000 ტონა სათადარიგო სათბობისათვის. ეს რაოდენობა, რაიმე გაუთვალისწინებელი, რთული სიტუაციის შექმნის შემთხვევაში 20 დღის განმავლობაში იკმარებს, რაც, ცხადია, სოლიდური რეზერვია. მრავალი მცირე მწარმოებლობის საქვაბე მოდერნიზებულით შეიცვლება.

ეს გეგმაა, მაგრამ საქმე? საქმე ვერ წაიწევს წინ, თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები დროულად არ გადმოურიცხავენ სახსრებს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქვაბეების დროული შეკეთებისათვის და სარეზერვო სათბობის შესაძენად. ვიმეორებთ: ამ საქმის დაჩქარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან აღმასკომები ზამთრისათვის მზადებას, რამდენად სწრაფად გამოყოფენ საამისოდ სახსრებს. საქვაბეებისათვის სათბობის ორგანიზებული და დროული შემოტანისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა და საქართველოს ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა შეადგინეს და დაამტკიცეს ერთობლივი მოქმედების გრაფიკი. ახლა საჭიროა ამ გრაფიკის ზუსტი დაცვით განხორციელდეს ზამთრისათვის მზადების ყველა ღონისძიება.

ცოტა დროდ რჩება, სამიოდე თვე ისე გაირბენს, ვერც შევამჩნევთ. თუ საქმისადმი ოდნავ მოვადუნებთ ყურადღებას, მერე თავის გასამართლებელი მიზეზების ძიება და ნუნუნი გვიანღა იქნება.

რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ აღკვეთოს რესურსების უთავბოლოდ სარგებლობის ყველა შემთხვევა. აღარ უნდა განმეორდეს შარშანდელი შემთხვევები, როცა კომიტეტის შემოწმების შედეგად მრავალი სამინისტროსა და უწყების ორგანიზაციებში აღმოჩნდა, რომ ცუდად ხორციელდება ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებასთან, ტვირთზიდვის დროს საწვავ-საპოხი მასალების დაკვირვებისათვის, წამატებებისა და თვალისაჩვენის ნიშნაღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მრავალ ორგანიზაციას არ ჰქონდა სათბობის ეკონომიის გეგმა-დავალება. ბევრი იყო საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენების, შესრულებული სამუშაოების წამატებათა შემთხვევა.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მკაცრი კონტროლი დაუწესონ საწვავ-საპოხი მასალების ნორმირებულ ხარჯვას, ბოლო უნდა მოეღოს ამ მხრივ არსებულ ყოვლად შეუნყნარებელ მდგომარეობას.

როგორც უკვე ითქვა, ამ მხრივ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, სანამ არ დავამკვიდრებთ ერთიანი პროდუქციის გამოშვებაზე სათბობისა და ენერგიის დანახარჯების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს. ნორმირებული უნდა იყოს სათბობისა და ენერგიის დანახარჯები ძირითადი და დამხმარე საწარმო პროცესებისათვის. მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ენერგორესურსების ხარჯვის ნორმები არ არის რეალური, ისინი უსაფუძვლოდ გაზარდეს.

შემოდგომა-ზამთრის სეზონის წარმატებით დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგოტევადი დანადგარების დროულ შეკეთებას. ვისაც ამ მიმართულებით ჯერ არაფერი გაუკეთებია, ან ცოტა გაკეთა, მიხედოს საქმეს, დრო კიდევ არის და შეიძლება ყველაფრის მოგვარება, თუ საამისოდ მონდომება იქნება. მატერიალური რესურსების, კერძოდ, ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნე ხარჯვა ყველა ორგანიზაციის კოლექტივის, მათი ხელმძღვანელობის შუშაობის შეფასების საზომი გახდა, და ეს ეხებაებია. ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა, თვითდაფინანსება და თვითვითანაზღაურება, რომელიც 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, მნიშვნელოვანწილად მატერიალური და ენერგორესურსების ყირარეთან გამოყენებას ეფუძნება.

ფრინა პლანფზეა ხარისხი

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში დაიწყო დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი. შრომითს მეტოქეობაში წინა პლანზეა პროდუქციის ძირეული გაუმჯობესების საკითხი, რადგან გაერთიანების კოლექტივს კარგად ესმის, რომ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში ხარისხისათვის ბრძოლა მთავარია.

სურათებზე: № 6 საამქროს ტექნიკური კონტროლის გაწყოფილების კონტროლიორები უანა წყარუაშვილი და მერი ერისთავი; ამავე საამქროს მეგრაგნილეთა ახალგაზრდულ-კომკავშირულ ბრიგადის ხელმძღვანელი, თავის პროფესიაში საუკეთესო ნათელა ჯიქური.

ა. საკაკოვის ფოტო.

ამ დღეების შესადარი შრომა

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

რეპორტაჟი სტიქიით დაზარალებული რაიონიდან იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ეკონომიკის აღმავლობისათვის

ვინ არ იცის, როგორ დაზარალა სტიქიამ ხობის რაიონი. მაგრამ აქაური მშრომელები სულით არ დაცემულან. პირიქით, ჭრომა გააორკეცეს, დღე და ღამე მოუფლელად ირჯებიან, ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ რაიონის მეურნეობა აღადგინონ, ეკონომიკა გააძლიერონ, კვლავაც მომძლავრდნენ და, რაც მთავარია, ხელდამშვენებული შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.

რომელ საზოგადოებრივ მეურნეობასაც უნდა ეწვიოთ, გულს ახარებს საუკეთესოდ მოვლილი მეცხოველეობის ფერმები, სიმინდის, სოიის, საკვები კულტურების ნათესები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღები, რომლებიც დაგვათვალიერებინეს ძველი და ახალი ხიბულის და საჯიჯაოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ნ. თუთბერიძემ, სოციალისტური შრომის გმირმა შ. კემულარიამ, ლენინის ორდენოსანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა ჟ. ბუკიამ, ხიბულის, ნოჯიხევის და თორსის „განთიადის“ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა თ. სალაყაიამ და გ. ბუკიამ. გარდაქმნამ აამოძრავა საზოგადოების ჯანსაღი ძალები. ადამიანის ფაქტორი გადამწყვეტი გახდა ეკონომიკაში და ისინიც ძალ-ღონეს არ იშურებენ საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

— ხობელთა შრომითს წარმატებებზე ადრე ბევრი წამიკითხავს და მსმენია, მაგრამ ახლა, როცა უშუალოდ მათთან მიხდება მუშაობა, დავრწმუნდი, რომ აქ ბევრია გამრჯე და კეთილი ადამიანი, — გვითხრა პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ზურაბ ერქვანიამ, — გაჭირვების დროს ხომ თავდადებით ებრძოდნენ სტიქიას, მის შემდეგ შრომა არ შეუნელებიათ, პირიქით, გაძლიერეს კიდევაც. ყველაფერს აკეთებენ ეკონომიკის აღსადგენად, ზარალის ასანაზღაურებლად, ყველანი ახლებური მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან.

— **კონკრეტულად რას იტყოდით ჩაის ნედლეულის კრეფისა და გადამუშავების მიმდინარეობაზე?**

— სოფლის შემოსავლის ამ ძირითად წყაროს მეჩაიეებმა წლეულს განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმეს, მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს. მეჩაიე-მექანიზატორები ისე არიან დაინტერესებული მუშაობით, რომ დაღლას არ გრძნობენ, თავს ევლებიან ყოველ ბუჩქს, ზუსტად აგროწესების შესაბამისად, ინტენსიურად, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით უვლიან ჩაის პლანტაციებს, ამიტომ მოსავალსაც უხვს იღებენ. წლიური გეგმა-ვალდებულებით უნდა დავამზადოთ 11.517 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ 12.000 ტონის დამზადებას ვფიქრობთ. და ამის საბაბს გვაძლევს კარგად მოვლილი და დამუშავებული პლანტაციები. 4 აგვისტოსათვის სულ რაიონში მოკრეფილია 8.510 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს შარშანდელ შესადარ პერიოდს 3.693 ტონით აღემატება. ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობების სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ რაიონის მშრომელებმა ივლისის დავალებაც გადაჭარბებით შეასრულეს.

— **ხარისხი უპირველესი საზრუნავია, მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელია. როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— ჩვენი მუშაობის აქცენტი სწორედ ამაზე გვაქვს გადატანილი. რაოდენობასთან ერთად ხარისხი უპირველესი საზრუნავია არა მარტო მეჩაიეების, მეჩაიე-მექანიზატორების, არამედ თითეული მშრომელის, დამხმარე მუშახელისათვის, რომლებიც მეჩაიეების მხარდამხარ შრომობენ გაზრდილი ვალდებულების უთუო შესრულებისათვის. ახლა დაძაბული შრომაა რაიონში, სამუშაოები ერთობ მოზღვავდა, მაგრამ ჩვენს სახელოვან მშრომელებს ხარისხისათვის ბრძოლა არ შეუნელებიათ. მათ კარგად იციან, რომ ეს რესპუბლიკის პრესტიჟის საქმეა. ამიტომაც ხარისხის მხრივ ბის ცალკე განზოგადება უთუოდ ღირს. იგივე შეიძლება ითქვას საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის მუშაობაზე. აქ დირექტორად გაბედულად დაწინაურეს ახალგაზრდა ტექნოლოგი რ. თოდუა, რომელმაც მოკლე ხანში თავი გამოიჩინა კარგი მუშაობით და ორგანიზატორული ნიჭით.

ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პლანტაციებში რომ მივედით, ხალხმრავლობა იყო. აქ 860 ტონა ნედლეულისათვის იბრძვიან და შედეგიც ჩანს. წლიური გეგმა 65,4, ანუ 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ახალი ხიბულის კიროვის, საჯიჯაოს ლენინის და ცხაკაიას, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში დამზადებული ნედლეული უფრო უკეთესია.

წლეულს განსაკუთრებით კარგად იჯრებიან გადამმუშავებლები. მეჩაიეთა გარჯაზე ნაკლები რადა მათი შრომა. თუ ამ გაგანა სიცხეში მეჩაიე მინდვრად ღამის ოფლს, მრეწველობის მუშაკებს საამქროებში უარეს სიცხეში უხდებათ შრომა. სეზონისათვის ფაბრიკების (გაერთიანების) გენერალური დირექტორი — ა. ლემონჯავა) კარგი მომზადების შედეგად ნედლეული შეუფერხებლად მუშავდება. განსაკუთრებით ბევრი სიახლე დაინერგა ხობის საექსპერტო პროდუქციის წარმოების ჩაის კომბინატში. მისი დირექტორი გ. ლატარია კარგი ორგანიზატორი და ინიციატივიანი მუშაკია. ფაბრიკის ახალგაზრდული კოლექტივის მუშაობოლო ივლისისა — 124,2 პროცენტით აქვთ შესრულებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. თუთბერიძე გვისახელებს იმ საიჯარო ბრიგადას, რომელსაც ბ. არაჩიმია ხელმძღვანელობს. ბრიგადის 26-ვე წევრი მცირე მექანიზაციით კრეფს ჩაის ფოთოლს და ანაზღაურებასაც კარგს იღებს.

ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მისმა ახალმა დირექტორმა თ. სალაყაიამ ყურადღება მიაქცია მექანიზაციის დანერგვას. არადა, შრომითი რესურსები არ ჰყოფნით. მეურნეობის ტერიტორიაზე 25 კომლი ცხოვრობს. მუშახელის სიმცირის გამო ნედლეული უხეშდებოდა, იყო დანაკარგები. ახლა დამხმარე მუშახელის იმედით როდი არიან. გაისად მეურნეობა სრულ მექანიზაციაზე აპირებს გადასვლას. იგი სეზონში 2.500 ტონა ნედლეულს ამზადებს, არის რეზერვები, შესაძლებლობანი, რომელთა სრული ამოქმედებით გაიზრდება ჩაის ჰექტარობრივი მოსავლიანობა. მეურნეობაში გაიხსნა სამი საველე სასადილო, რომლებიც უზრუნველყოფილია მაცივრებით.

მეჩაიეებმა ბევრი პრობლემური საკითხიც წამოაყენეს: მცირე მექანიზაციით (ხელის საკრეფი აპარატებით) რაიონში ათასობით ტონა ნედლეული იკრიფება. მისი ნაწილები — ელექტროძრავები, გადამცემი კბილანები და სხვა, ხშირად ფუჭდება. კარგი იქნებოდა, რეგიონში ერთი სარემონტო სახელოსნო მაინც გახსნათ. უტარო გადაზიდვის მანქანებიც არ ჰყოფნით. ყველა რაიონში არის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის „საქსოფლტრანსის“ ავტოკოლონები. მათ დამატებით უნდა გამოეყოთ უტარო გადაზიდვის მანქანები, რომ განსაკუთრებით პიკის დროს გამოიყენონ მეჩაიეობის მეურნეობებმა. რაიონში 900-მდე ჰექტარზეა მოწყობილი სარწყავი სისტემა, მაგრამ მოძველებულია, და რეკონსტრუქცია სჭირდება.

ანგულ მიქავა, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე გვეუბნება: მეჩაიეთა გულისტკივილი ყურად უნდა იღონ იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც ძალუძთ საქმის მოგვარება. ახლა, როცა გარდაქმნამ და დაჩქარებამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, საჭიროა გაბედულად ვიმოქმედოთ, ყველაფერი გავაკეთოთ ხალხის საკეთილდეოდ, შრომის გასაადვილებლად და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამით დღის მოთხოვნების შესაბამისად მეჩაიეებს გაეუადვილებთ შრომას, რაოდენობასთან ერთად ხარისხოვანი ჩაიც უხვად იქნება და საქმეც წინ წაიწევს.

დილაადრიან იწყება შრომითი დღე ჩაის პლანტაციებში, მეორე ეგეგეტაციის ფოთლის მასობრივი შემოსვლა ჩაჭრებს სოფლის მშრომელებს. დაყოვნება დანაკარგებს იწვევს, ნედლეულს აუზეშებს. ეს კარგად იციან ხობელმა მეჩაიეებმა და ყველაფერს ღონობენ ნედლეულის დროულად აღებისათვის.

ვ. ჩაჩიბაია,
ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საკვები—87

ვინ მოიკოვებს „კომუნისტისა“ და რესპუბლიკის სახაგრომრეწვის გარდამავალ დროშებს?

როცა თადარიგიანად მიუდგები საქმეს

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

მოწინავე გამოცდილებით, დამკვრელური შრომით თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომზადებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს სენაჟის დამზადების გეგმა. აქ მოიმარაგეს სამ ათას ტონაზე მეტი სენაჟი. ახლა მეურნეობაში მიმდინარეობს დასილოსება.

საბჭოთა მეურნეობაში თადარიგიანად მოეკიდნენ საკვების დამზადების პრობლემას. შექმნეს სპეციალიზებული ბრიგადები, უზრუნველყვეს ისინი ტექნიკით, გამოყვეს სათიბები წინათ გამოუყენებელ ნაკვეთებზე. ფერმებში თითის შეუფერხებელი მიწოდებისათვის ბრიგადებს გამოუყვეს დამატებითი ავტოტრანსპორტი.

ამავე დროს, ყველგან როდი მოახერხეს გარდაქმნილიყვნენ, საჭირო კალაპოტით წარემართათ მუშაობა. როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გვატყობინებს, ივლისის მიწურულისთვის რესპუბლიკაში პირველი მოთიბვით 170 ათას ჰექტარ ფართობზე მოთიბეს ნათესი და ბუნებრივი ბალახი. ეს შარშანდელზე ნაკლებია. ჩამორჩენაა უხეში საკვების დამზადებაში, გეგმით გათვალისწინებული 1570 ათასი ტონის ნაცვლად 815.500 ტონა მოიმარაგეს. თივა დამზადდა 186 ათასი ტონა — გეგმა მხოლოდ 24 პროცენტით შესრულდა, ნამარხი — 112.200 ტონა, რაც გეგმის 28 პროცენტია.

ყოვნდება სილოსის ჩადება. რამდენადმე უკეთ არის საქმე ბალახის ფხვნილის წარმოებაში. იგი გეგმით გათვალისწინებული 15.190 ტონის ნაცვლად 15.280 ტონა დაამზადეს.

ორმოცდაათზე მეტი რაიონიდან უხეში საკვების დამზადების გეგმა მხოლოდ სამმა — გურჯაანის, ახმეტისა და სიღნაღის რაიონებმა შეასრულეს. სადაც-კი გეგმას შეასრულებენ ლაგოდეხის, თელავისა და ხაშურის რაიონები. ყველაზე დიდი ჩამორჩენა შეინიშნება აჯარის ასსრ და დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში, აგრეთვე მაღალმთიან რაიონებში. მართალია თიბვა მეიბში ჩვეულებრივზე გვიან დაიწყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ხომ მოახერხეს თეთრი წყაროს რაიონში დაემზადებინათ 33.200 ტონა უხეში საკვები — შარშანდელზე სამი ათასი ტონით მეტი! თეთრწყაროელებმა ამავე დროს შეასრულეს სენაჟის ჩადების გეგმაც — აქ 19.600 ათასი ტონის ნაცვლად 24 ათასი ტონა სენაჟი მოიმარაგეს. ასე რომ, უამინდობის დროსაც შესაძლებელი ყოფილა წარმატებით თიბვა. ყველაფერს წყვეტს საქმისადმი თანდაყოლილი მიდგომა, უნარიანი ორგანიზატორული მუშაობა.



შაბ გეიზერად ამოხეთქა ნავთობმა რუსთავის ახლოს მდებარე ჭაბურღილიდან, რომელიც მესამესეა რესპუბლიკაში...

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წინ — 1921 წლის 16 მარტს — პარტიის X ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თქვა: „წაიკითხეთ გაზეთში ბაქო-თბილისის ნავთობსადენის შესახებ? მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთობსადენს გაიყვანენ ბათუმამდე“. ახალგაზრდა რესპუბლიკის ნავთობით უზრუნველყოფას ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, იგი მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობად მიაჩნდა.

დღეს უდიდესი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გარდა საქართველოს განვითარებული სარეწი მეურნეობაც აქვს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღმოაჩინეს 12 ბუდობი. აითვისეს ღრმა ბურღვა. ქართული ნავთობი თავისი შედგენილობით უნიკალურად არის მიჩნეული. მასში არ არის შერეული გოგირდი, ქვიშა, პარაფინი, უდიდესი ზეთოვნობა ახასიათებს.

რესპუბლიკაში ყველაზე დიდად სამართლიანად ითვლება სამგორის ბუდობი. ბოლო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ აქაური წიაღიდან მასში ჩამალული სიმდიდრის ნახევარიც კი არ არის მოპოვებული. ეს დაადასტურა ქართველ და გროზნოელ მენავთობეთა მიერ ერთად გაბურღულმა ხუთი ათას ხუთასი მეტრი სიგრძის ჭაბურღილმა. მისით დაიწყო გაერთიანება „საქნავთობის“ საქმიანობის ახალი ეტაპი: ბურღვის ოსტატები შეუდგნენ ღრმად მდებარე ნავთობის დანაშრევების იერიშს.

— ბოლო დროს ნავთობის მოპოვება სულ უფრო მეტად ინაცვლებს მთებში, — თქვა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა რევაზ თეგზაძემ. — კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, სოფლების ნინოწმინდისა და პატარეულის ახლოს აღმოჩენილია სტრუქტურის პერსპექტიული დანაშრევები. აქ მიღებულმა პირველმა ტონა ნავთობმა ცხადყო, რომ იგი თავისი თვისებებით ტოლს არ უდგებს სამგორისას. ნავთობის საკმაო მარაგია სოფელ მანავის ახლოს. ეს მიწები თითქოს სამგორის ნავთობის სტრუქტურის გაგრძელებაა.

ამასთან ქართველი მენავთობეები ზვერავენ რესპუბლიკის სხვა რეგიონებსაც. და თითქმის ყველგან პოულობენ ნავთობის დანაშრევებს. მაგალითად, ძვირფასი ნედლეულით აღმოჩენილია რუსთავის, კასპის, ლანჩხუთის ახლოს.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ

8 აგვისტოს კრემლში დაიწყო მ. ს. გორბაჩოვისა და ჟ. ჩისანოს მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, დ. ტ. იაზოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

მოზამბიკის მხრივ: მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები.

შეიფასეს რა საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობა, მ. ს. გორბაჩოვმა და ჟ. ჩისანომ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ ურთიერთობის მტკიცე საფუძველია სსრ კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ათი წლისთავი ფართოდ აღინიშნა წელს ორივე ქვეყანაში. ერთობლივი მეცადინეობით ბევრი რამ გაკეთდა თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში, რომელიც მოიცავს ორი ქვეყნისა და ხალხის საც უხვს იღებენ. წლიური გეგმა-ვალდებულებით უნდა დავამზადოთ 11.517 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მაგრამ 12.000 ტონის დამზადებას ვფიქრობთ. და ამის საბაბს გვაძლევს კარგად მოვლილი და დამუშავებული პლანტაციები. 4 აგვისტოსათვის სულ რაიონში მოკრეფილია 8.510 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს შარშანდელ შესადარ პერიოდს 3.693 ტონით აღემატება. ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობების სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ რაიონის მშრომელებმა ივლისის დავალებაც გადაჭარბებით შეასრულეს.

— **ხარისხი უპირველესი საზრუნავია, მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელია. როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— ჩვენი მუშაობის აქცენტი სწორედ ამაზე გვაქვს გადატანილი. რაოდენობასთან ერთად ხარ-

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა და მოიწონა ღონისძიებანი, რომლებიც სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელეს 1986 წლის სექტემბერში ქენეკაში გამართული ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის კონვენციის მოქმედების განხილვისადმი მიძღვნილი მეორე კონფერენციის, აგრეთვე ამ კონფერენციის რეკომენდაციის შესაბამისად გამართული სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტების თათბირის (1987 წლის მარტ-აპრილი) შედეგების გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კომპეტენტურ სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა ყველი ღონე იხმარონ მიღწეულ მორიგებებთა უთუო და ზუსტი შესრულებისათვის.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ფრენინს მართვის ცენტრი, 4 აგვისტო (საკდესი). კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი განაგრძობენ დაგეგმილ კვლევას „მირ“ ორბიტულ კომპლექსში.

„კვანტ“ ასტროფიზიკურ მოდულზე დაყენებული „რენტგენ“ საერთაშორისო ობსერვატორიის მეშვეობით განვლილ დღეებში მოიწყო დიდ მაგელანის ღრუბელში ზეახალი ვარსკვლავის დაკვირვების კიდევ ორი სერია.

გრძელდება კოსმოსური ფრენის პირობებში უმაღლესი მცენარეების კულტივირების შესაძლებლობათა შესწავლის ექსპერიმენტები. ამ ექსპერიმენტების დროს კვლევის ობიექტებია, კერძოდ, სამი თვის ქერის ნერგები და ქლოროფიტუმი, რომლებიც ორბიტაზე აიტანა საბჭოთა კავშირ-სირიის ეკიპაჟმა „სოიუზ TM-3“ ხომალდით.

ეკიპაჟის დღევანდელი განრიგით გათვალისწინებულია ს



ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ მთებიდან, რომელთა ფართობი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიებს უტოლდება, სათავეს იღებენ შეა აზიის დიდი მდინარეები, რომლებიც თავიანთ გზაზე ქმნიან ზღვებსა და ტბებს, ისიკ-ყულსა და არალს, მდინარეებს, რომლებიც ტენს აძლევენ მეზობელი რესპუბლიკების — უზბეკეთის, ყაზახეთის მინდვრებსა და დაბლობებს. დღეს ამ მდინარეებს, ტბებსა და ზღვებს დასტრიალებს ჩემი მოუსვენარი ფიქრები. ფიქრი წყალსა და მიწაზე — ეს არის ფიქრი ადამიანზე. ხელოვანს ყოველთვის აწუხებს, ყოველთვის აღელვებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება და ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ბუნების სიცოცხლესთან, საზოგადოების სიცოცხლესთან მტკიცე ერთიანობით განიხილავს, განსაკუთრებული შთამაგონებელი იმედით გაისმა პარტიის XXVII ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვები, რომ სოციალიზმს მისი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციითა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობით შეუძლია ჰარმონია შეიტანოს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაში.

ერთ-ერთი დადასტურება იმისა, რომ სოციალიზმს აქვს შესაძლებლობა და შესწევს უნარი დაძლიოს ჰარმონიისაკენ მიმავალი ეკლიანი გზა, იყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეწყდეს სამუშაოები ჩრდილოეთისა და ციმბირის მდინარეების ნაწილის გადასაგდებად. ამან საზოგადოების უფროსთაესი მზრდელჭერა პოვა. დამაჯერებელი გამარჯვება იმ ძალისა, რომლებიც გაბასახიერებენ ახალ აზროვნებას, შეგნებული აქვთ ეკოლოგიური უმეცრების, ბუნების უგულებელყოფის მთელი სიღრმე და მისი შედეგების გამოუსწორებლობა, გახდა კონკრეტული გადაწყვეტილებანი იასნაია პოლიანას, ბაიკალის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის შესახებ. არა, ტყუილად არ ეწეოდნენ ესოდენ ხანგრძლივ და გააფთრებულ ბრძოლას ტბისათვის მწერლები ვ. რასპუტინი, ს. ზალიგინი, ვ. ასტაფიევი და სხვა მრავალი კულტურის ოსტატი, ყველა, ვისაც ალერთიანებდა ბუნების ბედისათვის, სამშობლოს ბედისათვის წუხილი. და აი, ახალი დამამედებელი მოვლენა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ლადოგის ტბის აუზში გარემოს დაცვის საკითხები და, რაც მთავარია, წამოაყენეს წინადადება შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა.

მოვიყვან ყველაზე ახლობელ, და ამიტომ, შესაძლოა, ჩემთვის ყველაზე მტკივნეულ მაგალითს: ისიკ-ყულის ტბა. რომელი ჩვენგანი არ ჩაფიქრებულა მწარედ დაშრობის პირას მისული ტბის ბედზე, როცა დამტკბარა მთის ამ ცისფერი მარგალიტის არნახული სილამაზით; იგი შაგრენის ტყავივითაა, რომელიც იკუმშება და იკუმშება. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში სანაპიროს ინტენსიურ თვისებასთან დაკავშირებით, როცა მანამდელი მრავალრიცხოვანი მთის მდინარეებიდან ვერც ერთი ვერ აღწევს ტბას, რადგან წყალი სამეურნეო საჭიროებებს ხმარდება. მარტო უკანასკნელ ათწლეულებში მისი დონე სამი მეტრით შემცირდა. მეცნიერთა გამოანგარიშებით, 2000 წლისათვის ისიკ-ყული ასეთი ვითარების გამო კიდევ ორი მეტრით დაიწევს: ამასთან მარტო აღრიცხვა დაქვემდებარებული ეკონომიკური ზარალი ასამილიონობით მანეთს შეადგენს. რა ვალუტით გამოვხატოთ ეკოლოგიური, სოციალური, ზნეობრივი ზარალი?

არსებობს ტბაში ყირგიზეთის მდინარეების ნაწილის გადაგდების გეგმა, რათა ამაღლდეს ან თუნდაც სტაბილური გახდეს მისი დონე. გეგმა — ძვირადღირებული, შრომატევადი, მაგრამ გამეფდეს და შესანიშნავი! პროექტის ჩანაფიქრი გვაოცებს გაჭანებით. მაგრამ ამავე დროს, როცა ეფიქრები პროექტის ეკონომიკური სარგებლობის ამსახველ ციფრებს, სვამ კითხვას: ხომ არ დაუპირიპირებია ტბის საჭიროებანი პრაგმატიკულ ინტერესებს? ისე ხომ არ გამოვა, რომ გვალვიან წლებში მთელ ამ წყალს კვლავ მიიღებენ მინდვრები — ისიკ-ყულის საზიანოდ? ვიყოთ გულახდილი: ეს საკუთხები შესაძლებელია. ტბის შენარჩუნებისა და მისი დონის სტაბილიზაციისათვის საჭიროა ასმილიონობით კუბური მეტრი წყალი. იურიდიულად უნდა დათქვას და დამკვიდრდეს საკანონმდებლო წესით, რათა ვერც ერთმა თანამდებობის პირმა ვერავითარი ობიექტური „საბაბით“ ვერ გბედოს ისიკ-ყულის წყლის გამოყენება სხვა, თუნდაც საარსებო მიზნებისათვის. კიდევ იმიტომ მიმაჩნია საჭიროდ ეს ვთქვა, რომ ტბის გამეჩეჩიანებისათვის პერსონალურად არავინ აგებს პასუხს, ამისათვის არავის არ ეშინია. ეს ტბა ერთ-ერთ ადგილზე ოაზისია ასეულ ათასობით ადამიანისა, ეს ტბა ბინადრობს ბევრ ენაზე ალაპარაკებულ ადამიანთა ბედ-იღბალ-ერთიანობაში. ეს ტბა ბინადრობს ბევრ ენაზე ალაპარაკებულ ადამიანთა ბედ-იღბალ-ერთიანობაში. ეს ტბა ბინადრობს ბევრ ენაზე ალაპარაკებულ ადამიანთა ბედ-იღბალ-ერთიანობაში.

ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲘᲬᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ

ᲩᲘᲜᲒᲘᲖ ᲐᲘᲗᲛᲐᲗᲝᲕᲘ,
მწერალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ, ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

□ **ᲘᲚᲘᲔᲕᲘ**, როგორც ნებისმიერ მოკავშირე რესპუბლიკას, საქართველოს და ყირგიზეთსაც მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ძმური თანადგომა, ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა აკავშირებთ ამ ორი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებისა თუ საქმიანობის ნებისმიერ დარგში, სფეროსა და უბანზე დასაქმებულ ადამიანებს. და ეს მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება და მკვიდრდება.

□ **ᲩᲕᲔᲜᲘ** რესპუბლიკის მშრომელები ინტერესით კითხულობენ გამოჩენილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აითმათოვისა და მისი თანამემამულე სხვა ლიტერატორების ნაწარმოებებს. თავიანთ მხრივ ყირგიზი მკითხველებიც კარგად იცნობენ ქართველი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას.

□ **ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სახელობის თეატრის საოპერეტუარო გეგმაში შეტანილია ჩ. აითმათოვის პიესა „საჯალათო კუნძი“. მაყურებელმა მოიწონა თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დადგმული მისივე პიესა „ჩემი წითელთვალფაფრიანი ჩინარი“ და სხვ. რესპუბლიკის ბევრ თეატრში, მათ შორის გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრშიც, დაიდგა ბ. ბაჯაევის პიესა „დუელი“. აღსანიშნავია, რომ გორელების რეპერტუარში დღესაც არის მისივე პიესა „დღესასწაული ჩვენს სახლებში“. თვის მხრივ, ყირგიზეთის თეატრებშიც სწორად იდგმება თანამედროვე ქართველი დრამატურგების პიესები.

□ **ᲐᲛ** ორ მოკავშირე რესპუბლიკას მჭიდრო და ხელსაყრელი ურთიერთობა აკავშირებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგშიც. ყირგიზეთი საქართველოდან ღებულობს სამრეწველო მტვერსასრუტებს, სხვადასხვა სახეობის ლაქსაღებავებს, ელექტროშესადუღებელ აპარატურას, ძალურ ტრანსფორმატორებს და სხვა ნაწარმს.

□ **ᲗᲐᲕᲘᲡ** მხრივ ყირგიზეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მშრომელები გვიგზავნიან ავტოკასტრნებს, სავაჭრო მოწყობილობას, დაბალვოლტიან აპარატურას, შუქტექნიკურ ნაკეთობას და სხვა პროდუქციას.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲡᲗᲐᲜ

ᲞᲠᲟᲕᲐᲚᲡᲙᲘᲗ დრამატულ თეატრში მსახიობ ლუდმილა სმანბეკოვას ხუმრობით მოსკოველ რძალს ეძახიან. და მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი მთავარ როლს ასრულებს ყირგიზი დრამატურგის მ. ტოიბაევის კომედიაში „მოსკოველ რძალში“. ლუდმილა, ისევე როგორც მისი გმირი, მოსკოველია. ისიკ-ყულის ტბასთან მდებარე შორეულ ქალაქში იგი ქმართან თემირლანთან ერთად ჩამოვიდა.

თეატრი, სადაც ცოლ-ქმარი სმანბეკოვები მუშაობენ, ყველაზე ახალგაზრდაა რესპუბლიკის რვა თეატრს შორის. იგი ჯერ ოთხი წლისაც არ არის.

+ პრეკვალსკში მთელ ჯგუფად ჩამოვედით თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ყირგიზეთის სტუდიის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი, — თქვა ლუდმილამ. — მარტო მე ვიყავი სხვა ჯგუფიდან და ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ყირგიზულად. ჩვენ სიურპრიზი გველოდა: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე იდგა ახალთახალი თეირი მარმარილოს თეატრი, რომლის პირველი მასპინძლები ჩვენ გავხდით. ცოტა ხნის შემდეგ კი ქალაქმა მსახიობებისათვის ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლიც ააშენა. ასე რომ, ჩვენი დამოუკიდებელი თეატრალური ცხოვრების პირველი ნაბიჯებიდავე მხოლოდ შემოქმედებითი პრობლემები გვაწუხებდა.

თეატრის ფოიეში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ჯერ კიდევ მოსკოვში გამზადებული აფიშები. მათზე აღნიშნულია კურსის სადიპლომო სპექტაკლები, რომლებიც ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივის რეპერტუარის საფუძველი გახდა. დღეს კი პრეკვალსკელთა აქტივში ოცზე მეტი სპექტაკლია რუსული, საბჭოთა და საზღვარგარეთული კლასიკის, აგრეთვე ყირგიზეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს თანამედროვე დრამატურგთა პიესების მიხედვით.

კოლექტივი ემზადება იმისათვის, რომ დადგას სპექტაკლი ჩ. აითმათოვის მოთხრობის „პირველი მასწავლებლის“ მიხედვით. ამ ნაშუშევარს ისიკ-ყულელები უძღვნიან დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. სიმბოლურია, რომ ყირგიზეთში „პირველი მასწავლებელი“ პირველად დაიდგა ფრუნზეში დრამის აკადემიური თეატრის სცენაზე, რომლის დამაარსებლები მოსკოვის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პირველი ყირგიზელი სტუდიის კურსდამთავრებულნი იყვნენ, პრეკვალსკელები კი სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა უკვე მეოთხე თაობაა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ



⊙ ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲢᲐᲨᲢᲘᲜᲑᲔᲙ ᲐᲛᲐᲢᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲘᲙ-ᲧᲣᲚᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲢᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ XXII ᲞᲐᲠᲢᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲗᲐ ᲨᲠᲘᲒᲐᲓᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘᲐ.

⊙ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ“ ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲨᲘ.

⊙ ᲢᲐᲨ-ᲙᲣᲛᲘᲠᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

⊙ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲛᲬᲚᲔᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ Ა. Ა. ᲡᲔᲛᲘᲝᲜᲝᲕ-ᲢᲘᲐᲜ-ᲨᲐᲜᲘᲡ' ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲘᲙ-ᲧᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ.

ᲡᲐᲙᲘᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲢᲙᲘᲕᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მიკრორაიონებს არ დაუდებენ ტოლს ყირგიზეთის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დაბები. ეს კეთილმოწყობილი, მაღაროელებისა და მეტალურგების საცხოვრებლად და დასასვენებლად განკუთვნილი დასახლებები აშენდა ალა-თოოს მთების ძირში კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრებით.

— რა თქმა უნდა, ეს სიკეთეციდან არ ცვივა, — გვეუბნება მხეზავი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. სეჩინა. — ყველაფერი, რაც გვაქვს და გვექნება, ჩვენი ნახელავია, საერთო შრომის ნაყოფია. ჩვენთან ყველა უპირს მხარს გარდაქმნის დევიზს — უკეთ იმუშავე და უკეთ იცხოვრე, ამიტომაც გამოვდის საქმე.

კომბინატი წლითიწლობით ზრდის პროდუქციის — ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის განკუთვნილი ნახევარგამტარი მასალების, იშვიათი ლითონების გამოშვებას, ასრულებს დავალებებს სხვა მაჩვენებლების მიხედვით. შესაბამისად მატულობს მოგებაც. ბოლო ორ წელიწადში იგი თითქმის გაორკეცდა.

კოლექტივმა მოკლე ვადაში შეძლო დაეძლია ფსიქოლოგიური დაბნეულობაც სახმიღების წინააღმდეგ. ახლა საწარმო კვლავ გულდაჯერებით ასრულებს ყველა ხელშეკრულებას მომხმარებლებთან და მისი პროდუქციის ხარისხსაც არ დაედება წუნი.

თითოეული მაღაროელის შემოქმედებითი აქტიურობა და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით პირადი დაინტერესება განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ყველა სამკრო, უბანი, სამსახური და ბრიგადების მნიშვნელოვანი ნაწილი შიდასაქარხნო სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანეს. აქ ბატონ-პატრონის გრძნობა კიდევ უფრო განმტკიცდება, როცა გაისად კომბინატი თვითდაფინანსებაზე გადავა.

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ

◆ **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** ყირგიზეთი მაღალი მთებისა და მზიანი ველების ქვეყანაა, სადაც 4 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვიდრი მოსახლეობა თითქმის სამჯერ გაიზარდა, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე კი ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ 80-ზე მეტი თანასწორუფლებიანი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

◆ **ᲓᲘᲓᲘ** მიღწევაა ყირგიზეთის მრავალეროვანი მეშვიდეა კლასის ჩამოყალიბება და განვითარება. ამჟამად მისი ხელმძღვანელობით წელი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა შორის 70 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ყირგიზთა წრიდან გამოსულ მუშათა ზრდა — რეკონსტრუქციამდე ხომ აქ მრეწველობა არ ყოფილა. მათმა რიცხვმა საწარმოო დარგებში 200 ათასს გადააჭარბა.

◆ **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ** უდიდესი სოციალური მონაპოვარია ყირგიზ ქალთა განთავისუფლება. უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა შორის 180 ათასი ქალია. პირველ ომისშემდგომ წლებში კი ეს მაჩვენებელი 12 ათასი იყო.

◆ **ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ** მუშაობს ინჟინერ-ტექნიკური, სამეცნიერო, შემოქმედებითი ინტელიგენციის, მასწავლებლების, ექიმების დიდი რაზმი. უპირატესად გონებრივი შრომით დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი 400 ათასს შეადგენს.

◆ **ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ** ჩვენს ქვეყანაში კავშირგამბმელობის რადიოსარეალეო ხაზების შექმნის პიონერია. თითქმის ორმოცი წლის წინათ აშენდა ფრუნზე-ჯალალ-აბადის პირველი ხაზი. ამჟამად რადიოსარეალეო ხაზები სერავენ რესპუბლიკას ყველა მიმართულებით და უზრუნველყოფენ მრავალარხიან კავშირს.

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲗ

ᲠᲝᲪᲐ სოკულუკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ჯანგი-ჯერში“ სპეციალიზაციით გათვალისწინებული სიმინდი დათესეს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განგაში ატეხეს: რატომ თვითნებობენ, რატომ არღვევენ მითითებებსო? არ ვიცით, რით დამთავრდებოდა ეს კონფლიქტი, რაიაღმასკომის ახალი თავმჯდომარე ვ. კირკინი რომ არ ჩარეულიყო.

ვლადიმერ კირკინმა კარგად იცის ოდესაც ძლიერი მეურნეობის არასახარბიელო ბედი. „ჯანგი-ჯერის“ მთელი უბედურება კარტოფილით დაიწყო. თუმცა ეს კულტურა ადგილობრივ ნიადაგებში პრაქტიკულად არ ხარობს, „ზევით“ დაგეგმეს, რომ მისი მოსავალი სწორედ აქ მოეყვანათ. ასე მოახვიეს თავს საბჭოთა მეურნეობას სპეციალიზაცია. საქმე არ გამოდიოდა, კარტოფილის მოყვანის გეგმა კი თანდათანობით იზრდებოდა. სოფელში ააშენეს ძვირად ღირებული თანამედროვე კარტოფილსაცავები, რომლებიც დღემდე ცარიელი დგას როგორც უყაირათობის ძეგლები.

დაცარიელდა საბჭოთა მეურნეობის სალაროც: შეჩერდა საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო ცენტრის მშენებლობა და კეთილმოწყობა.

— მრავალ კარზე მოუწია კაკუნი ჩვენს დეპუტატებს, — ამბობს ვ. კირკინი. — გაუტეხელნი აღმოჩნდნენ სხვადასხვა რანგის მოხელენი. ახლანდელი დრო მხსნელად მოგვეელინა. დღეს იგი უფლებას არ მოგვცემს ძველებურად ვიმუშაოთ. ყოველი ჩვენგანი ჯერ თვითონ უნდა გარდაიქმნას.

ახლა რაიონში უკვე ბევრს აშენებენ. ჩვენ ყველგან გვხვდებოდა ნაკლები ავტოკოლონები, მექანიზებული რაზმები, მოხალისე მშენებლების ოპერატიულად შექმნილი ბრიგადები. ძალების განლაგებას ზუსტად ხელმძღვანელობს აღმასკომი. მის კონტროლს დაქვემდებარებული ბევრი მშენებარე ობიექტი სოციალურია: კულტურის სარაიონო სახლი, ზამთრის საცურაო აუზი, სტადიონი, სპორტული კომპლექსი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, ავტოსადგური, საცხოვრებელი სახლები.

ᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲢᲙᲘᲕᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მიკრორაიონებს არ დაუდებენ ტოლს ყირგიზეთის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დაბები. ეს კეთილმოწყობილი, მაღაროელებისა და მეტალურგების საცხოვრებლად და დასასვენებლად განკუთვნილი დასახლებები აშენდა ალა-თოოს მთების ძირში კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრებით.

— რა თქმა უნდა, ეს სიკეთეციდან არ ცვივა, — გვეუბნება მხეზავი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. სეჩინა. — ყველაფერი, რაც გვაქვს და გვექნება, ჩვენი ნახელავია, საერთო შრომის ნაყოფია. ჩვენთან ყველა უპირს მხარს გარდაქმნის დევიზს — უკეთ იმუშავე და უკეთ იცხოვრე, ამიტომაც გამოვდის საქმე.

კომბინატი წლითიწლობით ზრდის პროდუქციის — ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის განკუთვნილი ნახევარგამტარი მასალების, იშვიათი ლითონების გამოშვებას, ასრულებს დავალებებს სხვა მაჩვენებლების მიხედვით. შესაბამისად მატულობს მოგებაც.

ᲡᲝᲠᲝᲠᲝᲜᲑᲐᲘ ᲯᲣᲡᲣᲤᲝᲕᲘ,
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ სახალხო პოეტი სოროონბაი ჯუსუფოვი ლოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მოწვევით ამ რამდენიმე წლის წინათ ტუმრობდა საქართველოს.

იგი გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეს, მის მშრომელებს, მათს ყოფა-ცხოვრებას, მრავალსაუკუნოვან კულტურასა და ისტორიას და მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით ლექსების ციკლი შექმნა საქართველოზე.

დღეს გთავაზობთ ორ ლექსს ამ ციკლიდან.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲐ

თუ მართლაც ხანძრის ნახვა
გენებთო,
უნდა იხილოთ ცეკვა ქართული,
როგორ როკავენ ცეცხლის
ენები,
ცეცხლის ენები, ჯადოდართული.

ვაჟებს ნამდვილად რკინის
გული აქვთ,
წამონთებიათ ელვად თვალები;
მზეთუნახავებს ჰგვანან
სრულიად,
როცა ცეკვავენ ალვისტანები.

გაიწკრიალებს როს სატევარი,
ნაპერწკლებს გაყრის
ცინცხალთვალებას,
თუ ვაჟაცი ხარ, შეავლე თვალი
მის გაბრწყინებას და
ელვარებას.

ერთი გაფრენით სხვაზე მეტია
ვაჟი, გულადი, როგორც არწივი,
ქალიშვილი კი თითქოს გედია,
თავნება ზვირთით გადანარწევი.

ქართული ცეკვა ჯადოქრობაა
და ჭეშმარიტი დღესასწაული,
ცეკვა კი არა, ხალხის სულია,
ერის სიმდიდრე და საწყაული.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘ

ფოლადს ადნობენ მარტენებში გმირთა სწორები,
დუღს ღუმელებში მოთუთუნუნე ცეცხლის მორევი,
და მოგიზგიზე ალის როკვას თვალს უსწორებენ —
მოგებული აქვთ მათთან უკვე ორთაბრძოლები.

რარიგ ხელმარჯვედ წარმართავენ ლავის მდინარეს,
შუბლზე უბრწყინავთ მარგალიტი პირმომცინარე,
ყადრი იციან საკუთარი, მძლავრი სხეულის,
გამოგიწვდიან დაძარღვულ ხელს, და არ ინანებ.

მათი მარჯვენა ცეცხლს აკვეხებს ხოლმე თვითონვე,
ჩამოგართმევენ — ნადი არის, განა ლიტონი,
მათ შეუძლიათ გულწარმტაცი ენით მოგითხრონ,
თუ რა იდუმალ გზნებას იტევს უტყვი ლითონი.

ცეცხლთან, ფოლადთან ფალავნობა წილად რგებიათ,
და ფოლადივით ნებისყოფა დაბედებიათ,
ღუმელებიდან გადმომსკდარი რვალის ნაკადი,
მათი შექმნილი ლექსები და პოემებია.

სამშობლოს, ძმებო, მატებთ ღონეს და ძლიერებას,
იგი ხომ დღეემდეც განადიდეს თქვენმა ხელებმა
და, სიამაყედ, რუხთაველო მეტალურგებო,
შემატებიხართ საქართველოს ბედნიერებას.

თარგმნა ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

Ა. ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲔᲕᲘ,
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲗᲐᲜ ხალხს კარგი ანდაზა აქვს: „ნაბიჯს ნუ შეანელებ, თორემ მწვერვალს ვერ მიაღწევ“. დიდი ოქტომბრის შუქით გაცისკროვნებულ მთელი სამოცდაათი წლის სავალ გზაზე ზედიზედ ვიღებდით უღელტეხილებს, მივიწევდით წინ, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე ხუთწლედის განმავლობაში შევანელეთ სვლა.

ბევრი პრობლემა დაგროვდა რესპუბლიკაში როგორც ეკონომიკურ-სოციალურ სფეროში, ისე იდეოლოგიურ მუშაობაშიც. სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავებამ, მიღწეულით თვითდაკმაყოფილებამ, საკადრო პოლიტიკაში ხარვეზებმა გამოიწვია განვითარების ტემპის შენელება. ვხედავთ ჩვენს ხარვეზებს, ვეძებთ მათი გამოსწორების გზას.

ვახორციელებთ კურსს, რათა ფართოდ განვავითაროთ დემოკრატიული საწყისები ცხოვრების ყველა სფეროში. მკვიდრდება კადრების — ბრიგადირებით დაწყებული და საწარმოების, მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებით დამთავრებული — არჩევითობის პრინციპი. ახლებურად მიმდინარეობს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება, როცა გადამწყვეტი ხდება ადამიანების, შრომითი კოლექტივების აზრი.

ინიციატივიანი, საქმიანი ადამიანების მხარდაჭერა, ახალი ატმოსფერო, რომელსაც საზოგადოებაში ამკვიდრებს გარდაქმნა, თვალსაჩინო უკუგებას იძლევა. შარშან ყირგიზეთმა მთავარი მაჩვენებლების მიხედვით გადაჯარა დადგენილ დავალებებს, მათ შორის სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით. შევასრულეთ ბინების, სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების მწყობრში ჩაყენების გეგმა. აგრარულ სექტორში გაიზარდა ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. უზრუნველყოფილია საერთო-საკავშირო ფონდში მისი მიწოდება.

მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვაკმაყოფილებს მიღწეული წარმატებანი. დასახულ ძვრას ჯერ არ შეუძლია საჭირო სტაბილურობა. რესპუბლიკის საწამოო პოტენციალს, მის მდიდარ მინერალურ-სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს სრულად ვერ ვიყენებთ, უფრო ენერგიულად უნდა გადავწყვიტოთ „ინტენსიფიკაცია-90“ კომპლექსური პროგრამის, ბინებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები.

საყურადღებოა ერთი საკითხიც: სულ ახლახან რესპუბლიკა ამაყობდა წამყვან დარგში — მეცხვარეობაში მოპოვებული მიღწევებით. მაგრამ უკანასკნელ წლებში დავიწყეთ პოზიციების დათმობა. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯერაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ექსტენსიურ, და არა ინტენსიურ ფაქტორებს. ვცდილობდით გაგვეზარდა ცხვრის სულადობა, აგვეთვისებინა ახალი საძოვრები, ამასობაში კი პროდუქტიულობა მცირდებოდა. თავის დროზე მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ამ დარგის განვითარების მნიშვნელოვანი დაჩქარება. მაგრამ მისი შესრულება არსებითად ჩაიფუშა. ამგვარი პრობლემები ახასიათებს ჩვენი მეცხოველეობის სხვა დარგებსაც, რის შედეგად ყირგიზეთი დღეს შესამჩნევად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს ერთ სულ მოსახლეზე სასურსათო პროდუქტების გამოყენებით.

ჩვენ დავიხახეთ ამოცანა — უახლოეს დროში მივაღწიოთ მძაფრ გარდატეხას სოფლის მეურნეობაში, რათა მთლიანად უზრუნველყოთ საკუთარი თავი მეცხოველეობის პროდუქტებით, ბოსტნეულითა და ხილით. ყველგან ინერგება სამეურნეო ანგარიში, იქმნება მწყობრში ჩაყენების გეგმა. აგრარულ სექტორში გაიზარდა ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. უზრუნველყ

„გადაწყვეტილების შესაცვლელად...“

ერთხელ როგორღაც საქართველოს ენერგეტიკისა და პიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიაში შტორმის მოდელირების ექსპერიმენტს შევესწარი. მძლავრი კოდ მპრეხორები აუზის წყლის ზედაპირიდან ცხრაბალიან ზვირთებს აგელვებდნენ და ნაპირზე სხვადასხვა ნაგებობის მაკეტებს უტეკდნენ. აუზის მინის კედლიდან თითქოს ქარიშხლის ჭრილს ხედავდი. გაკვირვებდა, რომ აზვირთებული „ზღვის“ მცირეოდენ სიღრმეზე ღელვა სწრაფად ცხრებოდა და სრული სიმშვიდე სუფევდა.

აეროფლოტი გამახსენდა ეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს იხილავდა პარტიის გორის რაიკომის ანგარიშს მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ამხანაგებს გაზრდილი მომკითხველობისა და პრინციპულობის საგნებრივი გაკვეთილი ჩაუტარეს. აღინიშნა, რომ საქალაქო კომიტეტმ ვერ უზრუნველყოფს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საპირო დონეს, განსაკუთრებით — პირველად ორგანიზაციებში. ზოგჯერ ასეთი სიტუაცია იქმნება: ზემოთ გაზრდილი მომკითხველობა იგრძნობა, ქვემოთ კი თითქოს სუსტდება და არხეინობა სუფევს. და უს იმ დროს, როცა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ნაარ-ნაარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ უნდა შეგასუსტოთ, უნდა გავაძლიერთ კიდეც, უფრო მკაცრად მოვკითხოთ საძრახისი საქციელისათვის.

ამაზე იყო ლაპარაკი პარტიული, საბჭოთა და საწარმოო მუშაკების ამასწინანდელ რესპუბლიკურ თათბირზეც. აქ თქვა, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პარტიული კომიტეტები ეწევიან, ხელს უწყობს რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებას. მაგრამ მექრთამეობის, პროტექციონიზმისა და უპრინციპობის რეციდივები ჯერ კიდევ გვხვდება, ამიტომ საკადრო მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

ყველაფერი ადასტურებს: ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაუაზრებიათ ახალი მოთხოვნები და ნეგატიურ მოვლენებს თანამიმდევრულად ვერ ებრძვიან. ეს სიტუაცია კარგად შენიშნა ბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი წარმოების ოსტატის, თანაშემწეს, პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრმა ვ. გეგეშიძემ. ერთერთ პარტიულ კრებაზე გამოსვლისას მან თქვა:

— ყველამ ვერ შეიგნო, რომ სხვა დრო დადგა და ახლა ყველას უფრო მკაცრად მოეკითხება. აი, სამუშაოდან მოხსნეს, მექრთამეობისთვის პარტიიდან გარიცხეს და თხუთმეტი წელი მიუსაჯეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს ს. ხაბეიშვილს. დაისაჯა ბევრი სხვაც. ჩვენ კი დღემდე ვერ გაგებულია პირდაპირ ვუთხრათ თანამშრომელ ამხანაგს ის, რასაც მასზე ვფიქრობთ, ზოგჯერ ხელმრუდესაც კი არ ვასწავლით წესრიგს, გვეცოდება.

მართებულად არის საკითხი დასმული. ხაბეიშვილის სასამართლო პროცესი ბევრ რამეს გვასწავლის, და უწინარეს ყრკვლისა იმას, რომ ზუსტად უნდა ვიცავდეთ პარტიის საწესდებო თითოხვნებს ყველა დონეზე, ზემოდან ქვემომდე. არსად არ უნდა შესუსტდეს კრიტიკა და კონტროლი. აქ უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ ცოტა რამ არ კეთდება. შარშან რესპუბლიკაში პარტიიდან გაირიცხა 1600-ზე მეტი კაცი, რამდენიმე ათასმა პარტიული სასჯელი დაიმსახურა თანამდებობრივი და სხვა დარღვევებისათვის, მაგრამ ი, რა არის თვალში საცემი: უფრო ხშირად იმათი მხილებისა და პასუხისმგებლობაში მიცემის ინიციატივას, ვინც ჩრქს სცხებდა პარტიელის წოდებას, „ზემოდან“ იჩენდნენ. პირველადი პარტორგანიზაციები და ფრთმოი კოლექტივები ამ საქმეში ხშირად პასიურობენ და შეიწყნარებლობენ. ამას ემატება, ოთარ ჭყონდარიძე ბელს უწყობს ისიც, რომ პირველადი პარტორგანიზაციების ბევრიდან ავლილ ანგარიშებს ოსტატ-ოსტატ პერსონალური საკითხების თითქმის მესამედი.

სხვათა შორის, ჯერ-ჯერობით ზემდგომი პარტიული ორგანოები იძულებული არიან რაიონული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების ბევრი გადაწყვეტილება გაუქმონ. ასეთ შემთხვევებში გამოჩნდება ხოლმე ცნობილი ფორმულირება: „გადაწყვეტილების შესაცვლელად...“. თანაც, ჩვეულებრივ, ცვლილებების მიზანია ქცევისა თუ სიტუაციის უფრო მკაცრი შეფასება.

ოზემაკითხველოგბისა და გარდაქმნაში დაძაბულობის დაქვეითება შესრულების შემოწმების ორგანიზაციაში იჩენს ხოლმე თავს. ზოგიერთ რგოლში აშკარად არ ჰყოფნით კონკრეტულობა, უშუალოდ არ ასახელებენ ბრალეულთ. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დარგი, როგორიცაა მშენებლობა. იგი ჩამორჩება. კაცმა რომ თქვას, ამ ბოლო წლების მანძილზე რამდენი არცთუ ცუდი გადაწყვეტილებაა ამის გამო მიღებული! მერე, შედეგი? ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორც იტყვიან, ჰაერში გადმოეკიდა.

აი ერთ-ერთი ფაქტი. შარშან „პრავდაში“ გამოქვეყნდა მკითხველთა წერილები, რომლებშიც იტყობინებოდნენ, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია თბილისის საბინაო მშენებლობის ორგანიზაციაში, მდარეა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, შესახლებულია გაუმზადებელი სახლები. ეს სიგნალები დადასტურდა.

მაგრამ ნაყოფი გამოიღო თუ არა კრიტიკამ? არა! არავითარი. რატომ? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მშენებელთა შრომითის კოლექტივებში უთრესად სუტია შესრულების ორგანიზაცია. იმას, თუ რამდენად არასაკმარისია ეს მუშაობა და კონტროლი, ადასტურებს რესპუბლიკაში საბინაო-კომუნალური მშენებლობის ხარისხის იმ შემოწმების შედეგები, რომელიც სსრ კავშირის მშენბანკმა მოაწყო. ვი, რომ დადებითი ძვრები ცოტაა, სამაგიეროდ გამოვლინდა ნამოტებების, თვალსაზრევისა და დატაცებების მრავალი ფაქტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1986 წლის ვითომ შესრულებული გეგმიდან 173 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, აგრეთვე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების რამდენიმე ობიექტი ამოიღეს.

ეს ფაქტები განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. საუბარი მკაცრი იყო, და „ადრე მიღებული დადგენილების შესაცვლელად...“ უფრო სერიოზული შეფასებანი გაკეთდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებამაც არსებითად არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, ვერ დაბრკოლა საბინაო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ბიუროს წინადადებით, მალე გაათავისუფლა გ. ანდრონიკაშვილი ამ განყოფილების გამგისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. თანამდებობიდან მოიხსნა აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, რომელიც მშენებლობას განაგებდა. მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ზ. მესხიშვილს და მის მოადგილეს ა. ალრობელიძეს, ხოლო საქალაქო საბჭოს სესიიმ ორივე მოხსნა თანამდებობიდან. გარდაქმნის უნარი ვერ გამოიჩინა აგრეთვე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს რამდენიმე პასუხისმგებელმა მუშაკმა — ისინი გათავისუფლეს მოვალეობებისაგან, რომლებსაც თავი ვერ გაართვეს. პასუხი მოეკითხთ საქალაქო კომიტეტებისა და საქალაქო აღმასკომების მუშაკებს, საქართველოს სსრ პროკურორს კი წინადადება მიეცა სისხლის სამართლის საქმე აღძრას იმათ წინააღმდეგ, ვინც წამატებებში და თვალსაზრევაში ამხილეს.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პარტიულ კომიტეტებს წინადადება მისცა, რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ძირეულ გაუმჯობესებას პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, გაზარდონ მათი როლი კაპიტალურ მშენებლობაში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, წუნისმკეთებლებისა და იოლი ცხოვრების მოყვარულთათვის შეუწყნარებლობის ვითარების შექმნაში. რეკომენდებულია საქმე ისე დააყენონ, რომ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სისტემატურად ამარებდნენ ანგარიშს შრომითს კოლექტივებს თავიანთი საქმიანობის შესახებ.

ეს ფაქტები განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. საუბარი მკაცრი იყო, და „ადრე მიღებული დადგენილების შესაცვლელად...“ უფრო სერიოზული შეფასებანი გაკეთდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებამაც არსებითად არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, ვერ დაბრკოლა საბინაო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ბიუროს წინადადებით, მალე გაათავისუფლა გ. ანდრონიკაშვილი ამ განყოფილების გამგისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან. თანამდებობიდან მოიხსნა აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, რომელიც მშენებლობას განაგებდა. მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ზ. მესხიშვილს და მის მოადგილეს ა. ალრობელიძეს, ხოლო საქალაქო საბჭოს სესიამ ორივე მოხსნა თანამდებობიდან. გარდაქმნის უნარი ვერ გამოიჩინა აგრეთვე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს რამდენიმე პასუხისმგებელმა მუშაკმა — ისინი გათავისუფლეს მოვალეობებისაგან, რომლებსაც თავი ვერ გაართვეს. პასუხი მოეკითხთ საქალაქო კომიტეტის მიერ იმ მდგომარეობის შეფასებას, რომელიც ქალაქის საცალო ვაჭრობის სამმართველოში შეიქმნა. საქალაქო კომიტეტი წინადადებას იძლეოდა გაეწთავისუფლებინათ მმართველი ზ. მხეიძე თანამდებობიდან, გამოეცხადებინათ მისთვის სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის აზრით, ამ შუამაკის ცოდვები უფრო მკაცრ სასჯელს მოითხოვს: იგი არა მარტო უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა თავის მოვალეობებს, არამედ თვალსახვევასა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც არ ერიდებოდა. მხეიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

უნდა ითქვას, რომ ასეთი გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები გამოაქვთ. პარტიის იგივე თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის რაიკომებმა რამდენჯერმე გააუქმეს პირველადი ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი, როგორც ნაკლებად პრინციპული.

ამჟამად რესპუბლიკის პირველადა პარტორგანიზაციებში მიმდინარეობს კრებები, რომლებზეც განხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებს. მწვავედ დგება ურთიერთმოძალითხვევნის შემდგომი გაძლიერების საკითხიც. კომუნისტები იწონებენ მომკითხველობის გაძლიერებას საერთო გეზს და ამასთანავე გამოთქვამენ სურვილს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ასეთ ღონისძიებათა მეტი საჯაროობა. მათი აზრით, საჭიროა შესაბამისი შეფასება მივცეთ პარტიულ კომიტეტებს, პარტორგანიზაციებსა და მათს მდივნებს, რომლებმაც უპრინციპობა და ლიბერალობა ან არაობიექტურობა გამოიჩინეს ამა თუ იმ საკითხისა და პერსონალური საქმის განხილვისას. ეს კარგი აღმზრდელობითი ღონისძიება იქნებოდა აქტივისთვისაც და ყველა კომუნისტისთვისაც. ამასთანავე უფრო ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, განვაზოგადოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების დადებითი გამოცდილებაც, რომელიც რესპუბლიკაში უდავოდ გვაქვს.

გ. ლეგბანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

„პრავდა“, 1987 წ. 4/VIII.

ბრძოლის ესტაფეტის მილებისას

რესპუბლიკის გასაწვევი ახალგაზრდების შეხვედრა თადარიგის მეომრებთან, რომლებმაც შეასრულეს მშობლებისა და შრომითი კოლექტივების დანაწესი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დაცვის შესახებ, გახდა იმათი თავისებური ანგარიში, ვინც არმიის სკოლა გაიარა, და იმათი დამოძღვრება, ვინც მალე იარაღით ხელში დადგება საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე. შეხვედრა „მოაწყვეს ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკურმა სამმართველომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა.

ოფიცერთა სახლის სააქტო დარბაზში მოვიდნენ აგრეთვე ომისა და შრომის ვეტერანები, საშუალო სასწავლებლების სამხედრო ხელმძღვანელები, თადარიგისა მეომართა და გაბაწვევთა ოჯახები.

შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტ-განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ვ. სულაბერიძემ.

მოხსენება გააკეთა სამხედრო საბჭოს წევრმა — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. გულევიჩმა.

არმიისა და ფლოტის მხედრულ სადაგ დღეებზე, იმაზე, თუ როგორ მსახურობენ მათი თანამემამულეები, ილაპარაკეს შეხვედრაზე გამოსულმა თადარიგის მეომრებმა ე. გოცირიძემ, ბ. კოლტოვამ, ვ. ქარუხნიშვილმა, ტ. აბასოვმა და სხვებმა.

მომავალ მეომრებს გზა დაუღოცეს ვალმოხდილი ჯარისკაცის დედამ ი. შუბლაძემ, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა გ. კრამარენკომ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. შარაშიძემ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამშობლოს შეიარაღებული დამცველების ახლანდელი თაობა ღირსეულად აგრძელებს იმათ საბრძოლო ტრადიციებს, ვინც ანადგურებდა ინტერვენტებს სამოქალაქო ომის წლებში, ფაშისტ დამპყრობლებს — დიდ სამამულო ომში. ახლა საბჭოთა მეომრების ხელშია უფრო ძლევარი იარაღი.

მეომრების პოლიტიკური სიმწიფე, პატრიოტიზმი, შესანიშნავი მორალურ-საბრძოლო თვისებები ყველაზე უკეთ აისახება გმირულ საქმეებში, ავღანელი ხალხისათვის ინტერნაციონალური დახმარების გაწევის დროს. საქართველოს ომკავშირის 266 აღზრდილს მეგობარი ქვეყნის მიწაზე გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის ორდენები და მედლები მიენიჭა.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მსახურობენ საქართველოს მკვიდრნი, მათი ახსოვლტური უმრავლესობა სწრაფად ჩადგა მეომართა მწყობრში, ეზიარა არმიულ ცხოვრებას, მოკლე ვადაში დაეუფლა სამხედრო სპეციალობებს, რითაც უზრუნველყო არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონე. ა. ბ. მსახურობდნენ შეხვედრის მონაწილეებიც რ. ფუტკარაძე, ნ. ფიოდოროვი, ა. ბუხარიძე, გ. კარსიმაშვილი, მ. ჯამიდავა.

მაგრამ ვერ შევურჩგებით იმას, ითქვა საალმოზე, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა, მშვიდობიან წლებში რომ აღიზარდა და ომის სამინელებანი არ გამოუცდია, გულგრილობას იჩენს სამსახურისადმი, სბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ათვისებისადმი, არღვევს სამხედრო დისციპლინას. გამოსულებში დაასახელეს იმათი გვარები, ვინც სამხედრო ფორმა კი ჩაიცვა, მაგრამ არ ამართლებს ახლობლების, ამხანაგებისა და მთელი რესპუბლიკის იმედებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას ერთად ოჯახებში, შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში. უნდა გავამეტეროთ შევვამდელი ახალგაზრდების იდეური და ზნეობრივი წრთობა, გავზარდოთ მათი პოლიტიკური შეგნება. ამისათვის საშუალებათა ვრცელი არსენალი გვაქვს. ეს არის რესპუბლიკაში მოქმედი 200-ზე მეტი მუზეუმი, 4 ათასი საბრძოლო დიდების ოთახი და კუთხე, ასობით სამხედრო-პატრიოტული კლუბი, მომავალი მეომრის უნივერსიტეტი და ლეტერატურუმები.

საშუალო სასწავლებლების სამხედრო ხელმძღვანელებს, რომლებმაც ღირსეული ცვლა აღუზარდეს შეიარაღებულ ძალებს, შეხვედრაზე გადასცეს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სპატიო სიგელები. თადარიგის მეომართა დიდმა ჯგუფმა მიიღო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო სიხუცრები და საპატიო სიგელები.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქმთავარწყალმშენის „მტკვარწყალმშენის“ ტრესტის სამშენებლო უბნის უფროსს ამბ. რიხი სიოლოვანის ძე **რუხაძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წლთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამმეთა მმართველობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის მოადგილე ამბ. ოთარ ალექსანდრეს ძე **ოქროაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კოოპერატივი: პრობლემები

სიახლე გზას ნელა იკაფავს

რუსთავში გაიხსნა საზოგადოებრივი კვების ახალი ობიექტი „გურია“. ეს არ არის ჩვეულებრივი სასადილო, რომლებიც ქალაქში მრავლად მოგვეპოვება. მისი მცირეოდენოვანი კოლექტივი — ათიოდე კაცი მუშაობს კოოპერაციულ საწყისებზე. რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ვაჭრობის სამმართველომ მას იჯარით გამოუყო ძველი ამორტიზებული შენობა. ყველაფერი დანარჩენი — ინიციატივა, თადარიგანობა დამოკიდებულია თვით კოლექტივის უნარზე, იგი დამოუკიდებლად წყვეტს, სად და რამდენად იყიდოს პროდუქტი, რა სახის კერძები დაამზადოს, მუშაობს თვითშესყიდვაზე — კოოპერატივი დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარ წარმოებას და ყოველმხრივ ხელმძღვანელობს თავის ეკონომიკას.

მოკლე დროში კოოპერაციულმა სასადილომ მრავალი კლიენტი მიიზიდა და თითქმის ორჯერ გაზარდა საბზარეულოს პროდუქციის წარმოება. ქალაქის საზოგადოებრივი კვების ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებს აქ შეუძლიათ ისწავლონ, როგორ მოემსახურონ უკეთ და სწრაფად მომხმარებელს, გახადონ მრავალფეროვანი მენიუ, ხოლო კერძები — გემრიელი და მაღალხარისხოვანი. — უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მუშაობა გავწიეთ საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კოოპერატივების შექმნის შესახებ — პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის, — განაცხადა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების უფროსმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. ტოპრაკაშვილმა, — გვითვალისწინეთ მშრომელთა მოთხოვნილებანი და სურვილები, და ნებაყოფლობის საფუძველზე შეიქმნა სხვადასხვა სახის კოოპერატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ მშრომელთა მომსახურების და კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. მაგალითად, კოოპერატივი „წიდა“ მეტალურგიული ქარხნის ბრძმედისა და მარტენის საამქროების ნარჩენი წიდის გადამუშავებით გამოუშვებს ინერტულ საშენ მასალებს, სხვადასხვა კონსტრუქციის სამშენებლო ბლოკებს, გრანულს ასფალტის წარმოებისათვის, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. კოოპერატივი „კომფორტი“ მოკლე დროში უზრუნველყოფს ყველა სახის რემონტს ბინაში მობინადრის სურვილისა და გემოვნებისამებრ. კოოპერატივი „მერცხალი“ შავი და ფერადი ლითონების ჯართის და ნარჩენებისაგან დამზადებს ოჯახისათვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობას; კაფე „ზღვის ნიბათში“ მშრომელებს შეუძლიათ კარგად დაისვენონ, აღიდგინონ მრომის პროცესში დახარჯული ენერგია, მოისმინონ კონცერტები ესოფლოის გამოჩენილ ხელოვნების მოღვაწეთა მონაწილეობით, ნახონ საინტერესო კინოფილმები, რომლებსაც ხელშეკრულების საფუძველზე კინოგაქირავების კატორიდან მიიღებენ, იგემონ თევზეულის, ზღვის კიბორჩხალისა და ზღვის კომბოსტოს, სხვა მცენარეებისა და ცხოველებისაგან დამზადებული კერძები. მშრომელთა კეთილ მომსახურებას ისახავს მიზნად კაფე „ფეჩორა“. მალე დაიწყებენ თავის ბიოგრაფიის ეროპერატივები „გამრჯე ხელები“ და „ექსპრესი“. პირველი სანატარიულ კვანძებს შეაკეთებს, მეორე — საკუთარ მსუბუქ ავტომანქანებს.

ამჟამად ქალაქში უკვე რვა ახლად შექმნილი კოოპერატივია. ბევრია თუ ცოტა ეს? თქმა არ უნდა, ძალიან ცოტაა. მით უმეტეს, რომ ქალაქში მრავალი პენსიონერი და დისახლისი დაუსაქმებელია. ამას ისიც ემატება, რომ რუსთავიდან ყოველდღიურად ახლომახლო ქალაქებსა და სოფლებში სამუშაოდ მიდის 6 ათასამდე კაცი. ეს, სხვა რომ არაფერი, ქმნის ტრანსპორტის პრობლემას. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, მისმა შესაბამისმა სამსახურებმა, დეპუტატთა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ყველაფერი უნდა იღონონ ამ მხრივ მუშაობის გააქტიურებისათვის. საწარმოებმა და ორგანიზაციებმა კი ამ მიზნით რაც შეიძლება მეტი ობიექტები უნდა გამოყონ კოოპერატივების შესაქმნელად. ბაზა ქალაქში საკმაოდ დიდია — ჯერ კიდევ მრავლად არის მცირე მოცულობის, წამგებიანი საწარმოები, რომლებიც უნარიანი პატრონის ხელში მოკლე ხანში შესაძლოა დიდად ეფექტიანი გახდეს.

არადა, კოოპერატივების შექმნის მსურველები ქალაქში მრავლად არიან, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მოდიან საქალაქო საბჭოს აღმასკომში განცხადებით და პირობას იძლევიან: ადგილი გამოგვიყავით და ბინებსაც ჩვენ ავაშენებთო, ხოლო თუ ობიექტმა არ გაამართლა და მუშაობა შეწყვიტა, ისინი პრეტენზიას არ განაცხადებენ მათ მიერ „აგებულ“ შენობებზე. საქალაქო საბჭოს აღმასკომში ვერ აძლევენ ზუსტ პასუხს იმაზე, თუ როგორ მოიქცნენ. არიან აგრეთვე ადამიანები, რომლებსაც სურთ მოაშენონ პიროუტვი, მოაყენონ საგზაური და გაამავალონ თვეზი, მაგრამ ამ საქმეშიც სრული დაბნეულობაა, რუსთავში არ იციან, ვისთან შეიქმნან ასეთი კოოპერატივები, რომლებიც აუცილებელია ხორცისა და თევზის მარაგის შესავსებად.

გადაიდგა ნაბიჯები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გზაზე, გაჩნდნენ ამ საქმის პიონერები, მაგრამ ერთბაშად არც ეს საქმე იძვრის ადგილიდან. ამის ერთ-ერთი მიზეზად რუსთავში იმასაც ასახელებენ, რომ თვით მოსახლეობა მეტ ინიციატივას უნდა იჩენდესო, მაგრამ ამ აზრს ვერაფრით ვერ დავეთანხმებით — ქალაქში ბევრია ხელმარჯვე ოსტატი: ხის მომბრაჭურთმებლები, ლითონმქანდაკებლები და ეხატვრული ქარგის ოსტატები, ასე განსაჯეთ, ხელოსნები და მეკონდიტერეებიც კი. არ უნდა დაველოდოთ, სანამ ისინი მოვლენ აღმასკომში, უმჯობესია აღმასკომის მუშაკები თვითონ მივიდნენ მათთან, გამოარკვიონ მათი საყოველთაო-სასარგებლო საქმეში მონაწილეობის შესაძლებლობანი. ხომ არ აჯობებდა, რომ სამინისტროებმა მეტ ყოფილ ბინათა გამოფენები, ბაზრობები? რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ხომ ყოველივე ამის შესანიშნავი გამოცდილება აქვს.

ერთი სიტყვით, ყველა ეს სიახლე ჯერ ნელა იკაფავს გზას. ჭიანურდება ნამდვილად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასარგებლოა, იმათთვისაც, ვისთანაც კოოპერატივები იქმნება და თვით კოოპერატივებისა და ინდივიდუალურად მომუშავეთათვის და, რაც მთავარია, მოსახლეობისათვის. რუსთავის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომისა და მისი დეპუტატების უშუალო მონაწილეობაა დახმარება გაუწიონ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ორგანიზაციასა და მოსახლეობის მომსახურების სრულიად ახალი ფორმის განვითარებას, რათა იგი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდეს.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მაღაზიები სანახევროდ ცარიელია...

ხილბოსტნეულით ვაჭრობა მოსაწესრიგებელია

ვის არ ახსოვს გასული ზამთრის სიცივე. ადრე „გაზაფხულზე მდინარეები ადიდდა და ბარის ბევრი სოფლის სარჩო-საბადებელი წაიღო, წალეკა სახნავ-სათესი, ბაღები, ფერმები. მერე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა ბუნების სიავემ. თქვშმა და სეტყვამ ათასობით ჰექტარი ბაღვენახები, ბოსტან-ბაღჩები გაანადგურა. ცხადია, ასეთი მდგომარეობის გამო დასათესი თავის დროზე ვერ დაითესა, რაც დათესა, ბევრი მოისპო, ზოგან ხელმეორედ დაითესა და დაიბერა ბოსტნეული.

ამის გამო ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში დაგვიანდა საშუმაოები, საგრძნობლად შეფერხდა თბილისისა და სხვა სამრეწველო ქალაქების, კურორტების ხილბოსტნეულით მომარაგების საქმე. ცხადია გაუჭირდათ ქალაქელებს, ბაზარიც ერთობ გაძვირდა და...

მაგრამ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური, ენერგიული დახმარებისა და ჩარევის შედეგად ამ ბოლო ხანს ხილბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით ქალაქების მომარაგების საქმე ერთგვარად უნდა გამოსწორებულიყო. საზოგადოებრივ მეურნეობებს აქვთ იმდენი პროდუქტები, რომ დედაქალაქის მშრომელები, ხილბოსტნეულით მოამარაგონ.

თბილისის ხილბოსტნეულის, ცეკავშირის კოოპვაჭრობის მაღაზიებში ზოგან არის ხილიც და ბოსტნეულიც. მაგრამ მართლაც ზოგან.. სოფლად პროდუქტები კი არის, მაგრამ მთავარია დროულად მივაწოდოთ თბილისელებს, თანაც ისე მოვემსახუროთ, როგორც ჩვენს დროს ეკადრება. მთავარი კი ამ გარდაქმნათა ცხარე დღეებში ის არის, რომ თბილისის ხილბოსტნეულის მაღაზიებში საკმაოდ იყოს ყველაფერი. არის?

ამ კითხვაზე რომ გვეპასუხა, დედაქალაქის მაღაზიები უნდა შემოგვეკლო. შემოწმების შედეგად ცხადი ხდება, რომ „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიების უმეტესობაში მხოლოდ ხახვი, კარტოფილი, მწვანილი და ადგილი ვაშლი ან ქლიავი. ათასში ერთხელ გამოჩნდება ატამი, საზამთრო და სხვა ხილი. ბამდღორი ხანდახან არის, მაგრამ ბევრგან უხარისხოა.

რატომ ხდება ასე, იქნებ სოფლად ხილ-ბოსტნეული ალარ იმოვება?

არა, ასე არ არის. ძნელი ზამთრისა და გაზაფხულის მიუხედავად, ხილბოსტეულით არის, მაგრამ თბილისის მაღაზიებში ხშირად გვაკლია. როგორც აგვიხსნეს, ექვსი თვის გეგმა „თბილისხილბოსტანვაჭრობამ“ შეასრულა, მაგრამ, დედაქალაქის ცენტრის გარდა, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში ხილბოსტნეულის მაღაზიები თითქმის ცარიელია. ეს მწყინს, როცა ალბეთში უამრავი საზამთროა, პამიღორი გარდანილია და მის მეზობელ რაიონებში ბევრია, მაგრამ თბილისში ვერ მოაქვთ.

მერე მე რა?! არჩიეულს მაძლევენ, რომ შენ აგიჩჩიო? დანარჩენს ვინღა იყიდის?

ამასობაში აუწონა სამი კილოგრამი ატამი და ქლიავი. ქალი ფულის გადახდის შემდეგ შინ წასასვლელად მოტრიალდა. სოფლიმა კაცმა მოუბოდიშა ქალს და სთხოვა — თუ შეიძლება ნავაჭრი დეწონოთ სკონტროლო სასწორზეო. აწონეს და ოთხას გრამზე მეტი დაალდა.

გამყიდველი დაბლიდან სოფლელ კაცს გამოენთო და უყვირა: შენ კონტროლად ვინ დაგაყენაო.

— აუწონე ამ ქალს წესიერად, თუ გინდა, რომ საჩივრის წიგნში არ ჩაგიწეროო, — დაემუქრ ა კაცი.

— უჰ, გული არ „ეთეთქო საჩივრის წიგნით? — ჩაიცინა და დახლში შეეგორდა. ერთი ცალი ატამი აიღო და ქალს ცელოფანის პარკში ისე ჩაუნეთქა, კინაღამ დაგდებინა — მათხოვრ ე ბი ხართ, ერთ ატამს მისტირით.

— ერთი კი არა, ბარე სამოთხეზე მეტი ეკუთვნის. ოთხას გრამზე მეტი დააკელი ამ ქალს, არ გაცხვენია? — არ მოეშვა სოფელი კაცი, — ჰაი დედასა, ვის მოჰყავს და ვინა სარგებლობს?

— „მოდი და შენ გაყიდე, ვინ გიშლის. ახლა ხომ გაქვთ უფლება, თავად გაყიდოთ თქვენი მოწეული ხილბოსტნეული! ვნახოთ, როგორ არ დააკლებთ

მაღაროში არიან მომავალი სამთოელები

მესამე შრომითი სემესტრია. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ორ სამთო საწარმოში სტალინისა და მინდელის სახელობის შახტებში ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური შრომითი რაზმი „სამთოელი“ შრომობს. რაზმში 4 ჯგუფია, რომლებიც დაკომპლექტებულია სამთო ფაკულტეტის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებით. ყველა სტუდენტის ამოცანაა, რაც შეიძლება კარგად, სრულყოფილად დაეუფლოს ისეთ სამუშაო პროცესებს, როგორიც არის შპურის დაბურღვა, სანგრევის ჭერის მართვა და ქანის მექანიზებული დატვირთვა.

— რაზმის ცხოვრებაში, — გვეუბნება პოლიტექნიკური ინსტიტუტის წიაღისეულ საბადოთა დამუშავების კათედრის გამგე, პროფესორი ე. ცისკარიშვილი, — წლეულს, წინა პერიოდთან შედარებით, სიახლეა. ადრე საწარმოები ტუდენტებს უმთავრესად დამხმარე სამუშაო პროცესებს შესასრულებლად იყენებდნენ. მუშაობისა და სწავლების ასეთ პრაქტიკას სტუდენტების პროფესიულ განათლებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ჩვენი ყველა სტუდენტი უშუალოდ სანგრევშია დასაქმებული. ამან დიდად შეუწყო ხელი სამთო პროფესიების სრულყოფილ დაუფლებას, პირველი საექსპლოატაციო უბნის უფროსის მოადგილეს ოთარ ჭელიშვილს. იგი მეშახტეთა ერთ-ერთი დინასტიის მეთაურია. მისმა ქალიშვილმა შარშან პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა „ტყიბულშახტმშენის“ სამართველოში მუშაობს, ხოლო ვაჟი — დავითი სტუდენტური რაზმის აქტიური წევრია და მამის ხელმძღვანელობით პრაქტიკას უშუალოდ სანგრევში გადის. აქ ყველას სკერა, რომ შვილი ღირსეულად გაგრძელებს მამის საქმეს, არ უღალატებს ტრადიციას. სტუდენტებმა ბევრი საქებარი სიტყვა თქვეს სტალინის სახელობის შახტის მეორე საექსპლოატაციო უბნის უფროსის გ. ჯოჯუას, მინდელის სახელობის შახტის სამთო ოსტატის ტ. ნებიერიძის, უბნის ეფროსის ო. სილაგაძისა და სხვათა შესახებ.

მიმდინარე შრომითის სემესტრში, რომელიც თითქმის ორ თვეს გასტანს, გეგმით 100 ათასი მანეთი უნდა გამოიმუშაონ.

— სტუდენტთა ენთუზიაზმი, — გვითხრა ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ს. ლეჟავამ, — იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს დავალება გადაჭარბებით შესრულდება. ყველა სტუდენტი ცვლაში თავის ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. რაზმში არც ერთი ჩამორჩენილი არა გვყავს.

შრომის პროცესი ორგანულად უნდა შეერწყას სტუდენტების აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. რაზმი შეფობას გაუწევს საწირის კოლმეურნეობის მეჩაიეებს, ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ფაიზმარება ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრებს და სიბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობებმა დაგვაინტერესა. რაზმის წევრები ქალაქის ერთ-ერთი საშუალო სკოლის საკლასო ოთახებში ცხოვრობენ. ვესაუბრეთ ბინადრებს. უკმაყოფილონი არა ვართო, სტუმრის თავაზიანობით გვითხრეს, მაგრამ ჩვენ ხომ საკუთარი თვალით ვნახეთ, რა პირობებში ისვენებენ ისინი სანგრევში დაძაბული შრომის შემდეგ. 51 სტუდენტის საწოლი განლაგებულია ოთხ საკლასო ოთახში (?!), სანიტარიული კვანძი მოუწესრიგებელია — ერთადერთი პირსაბანი დგას.

მაგრამ ყოფითს სიძნელეებზე უფრო სტუდენტები სხვა რამემ შეაწუხა. აღმოჩნდა, რომ მათს შრომას სათანადოდ არ აფასებენ, რომ სტალინის სახელობის შახტის სამთო-მოსამზადებელი უბნის უფროსს ა. ხუჯაძეს საგანრიგოში მოსული ძირითადი მუშებისათვის უთქვამს, თითქოს სტუდენტები მათ ხარჯზე ცხოვრობდნენ, მათ ნაშრომს ითვისებდნენ. სინამდვილეში ასე როდია. კადრის მუშისა და სტუდენტის შრომის ფუნდი ანაზღაურება დადგენილი თანრიგის მიხედვით წარმოებს. ამიტომ სანგრევის თითოეული წევრი ზუსტად იმას იღებს, რასაც ფაქტობრივად ქმნის, — არც მეტს, არც ნაკლებს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დღევანდელი სტუდენტი, ხვალინდელი სამთო ინჟინერია და მისადმი მთელი შრომითი კოლექტივი განსაკუთრებულ მზრუნველობას უნდა იჩენდეს.

მინდელის სახელობის შახტში სტუდენტები თავიდან გულთბილად მიიღეს. ისინი, როგორც წესი ითვალისწინებდა, ინჟინერ-ტექნიკოსთა ბანო-გარდერობს მიამაგრეს. მაგრამ ერთ დღეს საყოფაცხოვრებო კომბინატის კომენდანტმა სტუდენტებს ამ ბანოში შესვლა აუკრძალა და საერთო სარგებლობის საშხაპეში გაამწესა. კორესპონდენტის ჩარევის შემდეგ შახტის დირექტორმა, მართალია, მდგომარეობა დაუყოვნებლივ გამოასწორა, მაგრამ ასეთი რამ მომავალში არ უნდა განმეორდეს.

ამას წინათ ტყიბულში სამსახურებრივი მივლინებით ჩამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი დოცენტი ი. გუჯაბიძე. სასტუმროს ადმინისტრატორმა იგი ნომერში დააბინავა, მაგრამ მალე გაასახლა ტურისტთა დიდი ჯგუფის ჩამოსვლის გამო. რა უნდა ექნა ღიის ქვეშ დარჩენილ კაცს? იძულებული გახდა თბილისს დაბრუნებულიყო.

მიუხედავად ამ და სხვა ნაკლოვანებისა, შრომითს რაზმებში ცხოვრება ჩქეფს. ყოველ დილით ყამრელის ფორმის ტახსაცმელში გამოწყობილ ბიჭებს ცისფერი ავტობუსები შახტებისაკენ მიაქროლებენ. ტყიბულში კიდევ ერთი შრომითი დღე იწყება.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ცნობილი ჭეშმარიტებაა, მხატვარი თავისი შემოქმედებით განსაკუთრებულ, შინაგან სამყაროს გვაცნობს და ხშირად დამთვალიერებელი მის ქმნილებებში საკუთარი სულის გამოძახილს პოულობს.

ვინც თბილისის მხატვრის სახლის ხშირი სტუმარია, არაერთხელ ეწვევა ეს გრძნობა აქ გამართულ სხვადასხვა ვერნისაჟზე.

ამ მხრივ არც ოთხი მხატვრის პერსონალური გამოფენა გახლავთ გამონაკლისი.

— ახლახან გახსნილ ამ გამოფენას დიდძალი დამთვალიერებელი ჰყავს. ოთხივე ხელოვანი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, უფრო სწორად თითოეული საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების ერთგულია, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ, — თქვა მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა თ. გოცაძემ.

და მართლაც, ვერნისაჟზე მაშინვე თვალში ეცემათ ფერთა სიმრავლე, და აღარც სტილის განსხვავების სჭირდება უსათუოდ პროფესიონალის თვალი.

პირველ სართულზე სამოციანელთა წარმომადგენლის — ენრიკო კოპაძის ნამუშევრებია ექსპონირებული, რომლებიც სწორედ ყანრული და თემატური მრავალფეროვნებით იქცევს ყურადღებას. მხატვარი ფერწერულ ტილოებთან ერთად ჭედურ და კერამიკულ ნამუშევრებსაც გვთავაზობს. ნახატებიდან გამოირჩევა „გალაკტიონი,“ „გახსენება — ნიკალა“, „ვაზო ქალწულო“, „არ განშორდეს ხროსმა“, „კოლხი ქალები“ და „იაზონის ბრძოლა“.

მეორე სართულზე სომეხი მხატვრის ანდრანიკ პეტროსიანის ნამუშევრებია წარმოდგენილი. მხატვრის სახლი პეროიდულად აცნობს ხელოვნების მოყვარულთ მოძმე რესპუბლიკების მხატვართა შემოქმედებას და საამისოდ სპეციალური ციკლი — „ხალხთა მეგობრობის გამოფენებია“ შემოღებული.

ანდრანიკ პეტროსიანი კოლორისტია, ძირითადი აქცენტი ფერზე გადააქვს, რითაც აღწევს კიდეც თემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას. ამ მხრივ საყურადღებოა ფერწერული ტილოები „ქართული ნატურმორტი კომშით“, „არაფერი არ არის დავიწყებული“, „თამაშის შემდეგ“, „ზამბახები“ და სხვა ნამუშევრები.

ხალხმრავლობაა დარბაზში, სადაც უდროოდ დაღუპული მხატვრის ნუკრი ხუციშვილის ნამუშევრები გამოუფენიათ. ეს არის სხვადასხვა დროს შესრულებული ორიგინალური ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და ნატურმორტები, და ყოველივე ამას მთლიან კომპოზიციად ჭკრავს „ავტოპორტრეტი“.

მხატვრის სახლის მესამე სართულზე, სადაც ბორის ტუღუშის ფერწერული ტილოებია ექსპონირებული, ყველასგან განსხვავებული, უცხო სამყაროა გადაშლილი.

— ეს მხატვარი აბსტრაქტული აზროვნებითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. მისი ნახატები დრამატიზებულია შინაგანად, — გვეუბნება თ. გოცაძე.

მართლაც და, აკვარელით შესრულებული ნახატები ძალზე პოეტური და ემოციურია. სხვაგვარი ხედვა ჩანს თითოეულ ნამუშევარში. იხილეთ „უხეში დაპირისპირება“, „პეიზაჟი გახსენებით“, „უეცარი ფერისცვალება“, „თანამგზავრები“, „ნატურმოტი თეირი ჭიქით“, „ტროპიკული მხარე“, და თავადაც დარწმუნდებით ამაში.

ამ ოთხი მხატვრის გამოფენა აგვისტოს ბოლომდე გასტანს.

ლალი ზურაგიანი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ:

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲢᲣᲦᲣᲨᲘ — „ფარდებს შორის“;
ᲜᲣᲙᲠᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — „ფასანაური“; ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲙᲝᲞᲐᲫᲘ — „კოლხური სიუიტა“; ᲐᲜᲓᲠᲐᲜᲘᲙ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ — „ნატურმორტი“.

ᲐᲥ ᲤᲠᲗᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში — ჯაფარიძისა და ტელმანის ქუჩების გადაკვეთაზე შეუძლებელია არ შეამჩნიოთ კოპწია ლამაზად შეღებილი მანსარდანი სახლი. იგი ძალზე წააგავს ზღაპრულ კოშკს. აქ მოთავსდა ბავშვთა სახვითი ხელოვნების სტუდია, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვარი ნინო ნიკარაძე.

— ამაზე დიდი ხანია ვოცნებობდი, — თქვა ნინომ. — ჯერ კიდევ ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში ყოფნისას ვნახე, თუ როგორ იბადებოდა ძველი საცხოვრებელი უბნიდან ახალი სამავშვო ქალაქი. ბავშვთა მრავალი ცენტრი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაშიც. ხოლო როცა შევიტყვე, რომ ძველი შენობა ცარიელია, საქმეს მოვკიდეთ ხელი. მწერალმა ალექსანდრე სამსონიამ, მხატვარმა თეგნი ლონტმა და ვახტანგ ბესელიამ, არქიტექტორმა გია რამიშვილმა ბევრი იზრუნეს ამისათვის. ყველამ ერთად დავიცავით სახლი დანგრევისაგან.

ახლა სტუდიაში ექვსიდან ცხრა წლამდე 15 ბავშვი დადის. მეცადინეობა ეწყობა კვირაში სამჯერ, ორ-ორი საათით.

დავალების მიღების შემდეგ ბავშვები ადიან მანსარდაში, სადაც სახელოსნოა. აქ უკვე ბავშვთა ფანტაზია შლის ფრთებს...

— ბავშვებს ამოუწურავი ფანტაზია და წარმოდგენის უნარი აქვთ, — თქვა შემდეგ ნინომ. — ხდება ხოლმე, ვუამბობ ზღაპარს და ისინიც მაშინვე იწყებენ გმირების ხატვას ისეთს, როგორც წარმოუდგენიათ. შემდეგ მარიონეტებით გვიჩვენებენ ამა თუ იმ როლს. ზოგჯერ არც გჯერა, რომ შენ წინაშე პატარები არიან...

ნინო ნიკარაძეს ჩინებული თანაშემწეები ჰყავს. ბავშვებთან სიამოვნებით მუშაობენ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ბესო კუპრეშვილი, ხელოვნებათმცოდნე ნათია ქორიძე. ისინიც გაიტაცა ადრეული ასაკიდან ბავშვების ესთეტიკური აღზრდის იდეამ.

ამაოდ არ ჩაუვლია ნინოსა და მისი თანაშემწეების გაკვეთილებს, სულ რაღაც სამი თვის მანძილზე სტუდიის აღსაზრდელი ბავშვების ნამუშევრების სამი გამოფენა მოეწყო, დიდება თოჯინური სპექტაკლი. მალე სტუდიას ოფიციალურად ბათუმის მხატვრის სახლთან არსებული სახვითი ხელოვნების სამავშვო სტუდია დაერქმევა, მისი შექმნის ინიციატორი ნინო ნიკარაძე კი შტატიან თანამდებობას მიიღებს.

(საქინფორმი)

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები არგენტინაში

ბუენოს-აირესი. „თეატრალური ოსტატობის შესანიშნავი გაკვეთილი“, „ქართულმა თეატრმა დაარტყო არგენტინელ ხელოვნების მოყვარულთა გულები“ — ასეთი სათაურებით არის აჭრელებული ამ დღეებში არგენტინის გაზეთები, რომლებიც იუწყებიან, რომ ბუენოს-აირესში მიმდინარეობს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. ქართველმა სცენის ოსტატებმა აქ წარმოადგინეს უ. შექსპირის „რიჩარდ III“ და ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რობერტ სტურუამ, წერს გვაძლევნიანი გაზეთი „კლარინი“, არგენტინელი მაყურებლები და კრიტიკა გააოცა სპექტაკლების დადგმისადმი უჩვეულო, თავისებური მიდგომით, მათი თანამედროვე გაგებით, რომლებიც აღსავსეა კეთილი იუმორითა და ირონიით.

სპექტაკლების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მუნიციპალური თეატრის „სან-მარტინის“ სალაროებთან დგება იმათი გრძელი რიგები, ვისაც სურს ეზიაროს საბჭოთა საქართველოს წარმოგზავნილთა ხელოვნებას. ენობრივი ბარიერები არ არსებობს. იმის მიუხედავად, რომ სპექტაკლები მიმდინარეობს ქართულ ენაზე, მსახიობებს მონოლოგებსა და რეპლიკებს ხშირად აწყვეტინებენ მქუხარე ტაშით, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი მადლიერი მაყურებლები დიდხანს არ უშვებენ სცენიდან მათ.

ბრეხტის პიესის დადგმა და ინტერპრეტაცია, წერს გაზეთი „პრენსა“, გვაიძულებს გადავსინჯოთ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ თავს მოხვეული ის აზრი, რომ ბრეხტის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა კომიკურია. მთელი რიგი სიახლეების, მუსიკის, სცენოგრაფიისა და მსახიობთა თამაშის მეოხებით დამდგმელმა შეძლო მაყურებელი შეეყვანა ბრეხტის „შეგნებული არარეალურობის“ მშვენიერ სამყაროში. ქართული თეატრის გამოსვლებმა ცხადყო, რომ ამ თეატრში არ არსებობს პირველი და უკანასკნელი როლები, აქ ყველა მსახიობი თამაშობს თანაბარი ენთუზიაზმით, ნიჭითა და პროფესიული ოსტატობით.

დადგმის სინტეზურ გააოცა „კავკასიური ცარცის წრის“ სანახაობად მოსული მაყურებელი, წერს გაზეთი „ამბიტო ფინანსიერო“. ქართულმა თეატრმა დადგა სიახლითა და სითბოთი სავსე სპექტაკლი. სტურუამ ჩამოიტანა საინტერესო, შთამბეჭდავი და ნაზი წარმოდგენა, რომელიც სულაც არ არის ისეთი, როგორსაც ელოდნენ სპეციალისტები.

ქართველ ოსტატთა მიერ დიდებულად შესრულებული უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“, წერს გაზეთი, ადასტურებს უდიდესი დრამატურგის ნაწარმოებთა უშრეტ ცხოველმყოფელ ძალას, მათს საჭირბოროტობას. და, თუმცა მსახიობები სცენაზე ისე იქცევიან, როგორც ამას ავტორი მოითხოვს, ექსპრესიის თავისუფლება და გროტესკთან მიახლოებული ლაღი თამაში გვაოცებს. მსახიობები ღრმად ჩასწვდნენ სახეს, შეინშნეს უმცირესი დეტალები. გაზეთი აღნიშნავს დადგმის სტილიზაციას, ქორეოგრაფიასა და მუსიკალურ თანხლებას, მთელი შემოქმედებითი კოლექტივის შეწყობილ მუშაობას.

ქართველი კულტურის მოღვაწენი არგენტინის ხშირი სტუმრები არიან. ადგილობრივი ხელოვნების მოყვარულნი მუდამ გულითადად მასპინძლობენ მათ. კერძოდ, ახლახან დამთავრდა აქ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის გასტროლები, რომლის გამოსვლასაც არგენტინაში დიდი წარმატება ჰქონდა.

ᲓᲐᲓᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯასპარ უაინბერგერმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა მანფრედ ვერნერმა ორშაბათს ხელი მოაწერეს ვაშინგტონში შეთანხმებას „რემის“ საერო თავდაცვის სარაკეტო სისტემის ერთობლივი წარმოების შესახებ, რომელიც საბრძოლო ბომალდებზე განლაგდება. მას რამდენიმე წელია ამუშავებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალები. როგორც პენტაგონის პრეს-რელიზშია ნათქვამი, იარაღის ახალი სისტემა განკუთვნილია ბომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების დიდი სადესანტო ხომალდი „რალეი“, რომელიც განკუთვნილია ჯარებისა და მძიმე საჯურვლის ტრანსპორტირებისათვის, შაბათს ღამით სასწრაფოდ გავიდა ნორფოლკის (ვირჯინიის შტატი) სამხედრო-საზღვაო ბაზიდან და სპარსეთის ყურეს მიაშურა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა უარი თქვა დაწვრილებით ელაპარაკა ოპერაციების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს „რალეიმ“. მაგრამ ერთმა ადგილობრივმა ტელესადგურმა გამოაცხადა, რომ ყურეში მიმავალი ხომალდი შეჩერდება ჩარლსტონის ნავსადგურში (სამხრეთ კაროლინის შტატი), სადაც მიიღებს ნაღმსაძებნ კატარღებს. ტელესადგურის იმავე რეპორტაჟში ნათქვამია, რომ „რალეი“ დაეხმარება ამერიკის ნაღმსაძებნი ვერტმფრინავების ოპერაციებს. შაბათს გათვალისწინებულიდან უკანასკნელი ვერტმფრინავი გაგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავით ნორფოლკიდან ინდოეთის ოკეანეში დიეგო-გარსიას კუნძულზე. რვა ვერტმფრინავისა და 200 სამხედრო მოსამსახურისაგან შემდგარ ქვეგანაყოფს დიეგო-გარსიას ბაზაზე გადასხამენ ვერტმფრინავიზიდ „გუადალკანალზე“. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, „გუადალკანალმა“ გაიარა სუეცის არხი და სრული სვლით მიდის დიეგო-გარსიას კუნძულისაკენ.

ტელეკომპანიის კომენტატორებმა გამაცხადეს, რომ თხევადი გაზით დატვირთულმა დაახლოებით 47 ათასი ტონა წყალწყვის ტანკერმა „გეს პრინსმა“ და მისმა თანმხლებმა ამერიკულმა საბრძოლო ხომალდებმა 1 აგვისტოს დატოვეს კუვეიტი. ისინი მშვიდობით მივიდნენ ორმუზის სრუტემდე. ახლა სუპერტანკერი „ბრიჯტონიც“ ემზადება კუვეიტის ნავთობჩასასხმელი ნავსადგურიდან გასასვლელად.

ნიუ-იორკი. „ნაღმებით სავსე სპარსეთის ყურეში კუვეიტის ტანკერების თანმხლების ოპერაცია შეშფოთებას იწვევს რეიგანის როგორც კრიტიკოსთა, ისე მომხრეთა შორის, — წერს „ფილადელფია ინკუაირერი“. — კონგრესში შიშობენ, რომ ტანკერების დაცვის რეიგანისეულ პოლიტიკას შეიძლება ირანთან ხანგრძლივი სამხედრო კონფლიქტი მოჰყვეს“...

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დელი. ინდოეთისა და შრილანკის შეთანხმება ეთნიკური კრიზისის მოწესრიგების შესახებ ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის ვითარების შექმნას კუნძულოვან სახელმწიფოში, საკადრის პასუხს სცემს გარეშე ძალების ინდოეთის საწინააღმდეგო საქმიანობას — ეს განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ, რომელიც კეირას გამოვიდა მადრასში (ტამილნადის შტატი) გამართულ მრავალათასიან მიტინგზე.

ინდოეთისა და შრი-ლანკის მორიგებანი, თქვა რ. განდიმ, მიმართულია ძალმომრეობის წინააღმდეგ და შეესაბამება ტამილი მოსახლეობის მისწრაფებებს. შექმნილია ხელშემწყობი პირობები შრი-ლანკის სხვადასხვა თემის შერიგებისათვის. ორი ქვეყნის მთავრობებმა, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ყველაფერი უნდა იღონონ მნიშვნელოვანი დოკუმენტის დებულებათა განხორციელებისათვის. იმ საკითხთა განხილვის დროს, რომლებიც შეთანხმებას ეხება, ინდოეთმა და შრი-ლანკამ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპებისადმი, მხარი დაუჭირეს მშვიდობიან თანაარსებობას. პრემიერ-მინისტრმა სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს მოუწოდა ხელი აიღონ მტრულ აქციებზე, რომლებთაც შეიძლება ისარგებლონ გარეშე ძალებმა იმ მიზნით, რომ შექმნან დაძაბულობა შრი-ლანკასა და მთელ სამხრეთ აზიაში.

◆ გზრ

ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ ᲙᲝᲚᲡ

▲▲

ᲑᲝᲜᲜ. დასავლეთ გერმანიის ნაცოზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის პრეზიდიუმმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰელმუტ კოლს ღია წერილი გაუგზავნა ევროპაში განიარაღების აქტუალურ პრობლემებზე.

ბონის მთავრობამ, ხაზგასმულია წერილში, უარი უნდა თქვას ამერიკის ბირთვულ-ქიმიურიან ჯიდაში ტრაგიკული ინციდენტის გარეშეობებთა გამოსაძიებლად ჩასულმა ირანის კომისიამ დატოვა საუდის არაბეთი მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ხელისუფლებმა უარი თქვეს მასთან ამ პრობლემის განხილვაზე. როგორც საუდის არაბეთის პრესის საგენტოს ცნობაშია ნათქვამი, ერ-რიადში მოელოდნენ, რომ ირანის კომისია ბოდიშს მოიხდიდა მექაში მოხდარი ამბებისა და შემდეგ თეირანში საუდის არაბეთის საელჩოზე თავდასხმის გამო. საუდის არაბეთის ოფიციალური ვერსიის თანახმად, პოლიციელებს ერთხელაც კი არ უსვრიათ. მთელი პასუხისმგებლობა ინციდენტის დაწყებისა და ცრავალრიცხოვანი მსხვერპლისათვის ირანელ მლოცველებს ეკისრებათ.

◆ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დელი. ინდოეთისა და შრი-ლანკის შეთანხმება ეთნიკური კრიზისის მოწესრიგების შესახებ ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის ვითარების შექმნას კუნძულოვან სახელმწიფოში, საკადრის პასუხს სცემს გარეშე ძალების ინდოეთის საწინააღმდეგო საქმიანობას — ეს განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ, რომელიც კეირას გამოვიდა მადრასში (ტამილნადის შტატი) გამართულ მრავალათასიან მიტინგზე.

ინდოეთისა და შრი-ლანკის მორიგებანი, თქვა რ. განდიმ, მიმართულია ძალმომრეობის წინააღმდეგ და შეესაბამება ტამილი მოსახლეობის მისწრაფებებს. შექმნილია ხელშემწყობი პირობები შრი-ლანკის სხვადასხვა თემის შერიგებისათვის. ორი ქვეყნის მთავრობებმა, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ყველაფერი უნდა იღონონ მნიშვნელოვანი დოკუმენტის დებულებათა განხორციელებისათვის. იმ საკითხთა განხილვის დროს, რომლებიც შეთანხმებას ეხება, ინდოეთმა და შრი-ლანკამ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება მიუმხრობლობის მოძრაობის პრინციპებისადმი, მხარი დაუჭირეს მშვიდობიან თანაარსებობას. პრემიერ-მინისტრმა სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს მოუწოდა ხელი აიღონ მტრულ აქციებზე, რომლებთაც შეიძლება ისარგებლონ გარეშე ძალებმა იმ მიზნით, რომ შექმნან დაძაბულობა შრი-ლანკასა და მთელ სამხრეთ აზიაში.

◆ გზრ

ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠ ᲙᲝᲚᲡ

▲▲

ᲑᲝᲜᲜ. დასავლეთ გერმანიის ნაცოზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების — ანტიფაშისტთა კავშირის პრეზიდიუმმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰელმუტ კოლს ღია წერილი გაუგზავნა ევროპაში განიარაღების აქტუალურ პრობლემებზე.

ბონის მთავრობამ, ხაზგასმულია წერილში, უარი უნდა თქვას ამერიკის ბირთვულ-ქიმიურიან

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲔᲬᲕᲘᲔᲗ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ:

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲢᲣᲦᲣᲨᲘ — „ფარდებს შორის“;
ᲜᲣᲙᲠᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — „ფასანაური“; ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲙᲝᲞᲐᲫᲘ — „კოლხური სიუიტა“; ᲐᲜᲓᲠᲐᲜᲘᲙ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ — „ნატურმორტი“.

ᲐᲥ ᲤᲠᲗᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში — ჯაფარიძისა და ტელმანის ქუჩების გადაკვეთაზე შეუძლებელია არ შეამჩნიოთ კოპწია ლამაზად შეღებილი მანსარდანი სახლი. იგი ძალზე წააგავს ზღაპრულ კოშკს. აქ მოთავსდა ბავშვთა სახვითი ხელოვნების სტუდია, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვარი ნინო ნიკარაძე.

— ამაზე დიდი ხანია ვოცნებობდი, — თქვა ნინომ. — ჯერ კიდევ ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში ყოფნისას ვნახე, თუ როგორ იბადებოდა ძველი საცხოვრებელი უბნიდან ახალი სამავშვო ქალაქი. ბავშვთა მრავალი ცენტრი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაშიც. ხოლო როცა შევიტყვე, რომ ძველი შენობა ცარიელია, საქმეს მოვკიდეთ ხელი. მწერალმა ალექსანდრე სამსონიამ, მხატვარმა თეგნი ლონტმა და ვახტანგ ბესელიამ, არქიტექტორმა გია რამიშვილმა ბევრი იზრუნეს ამისათვის. ყველამ ერთად დავიცავით სახლი დანგრევისაგან.

ახლა სტუდიაში ექვსიდან ცხრა წლამდე 15 ბავშვი დადის. მეცადინეობა ეწყობა კვირაში სამჯერ, ორ-ორი საათით.

დავალების მიღების შემდეგ ბავშვები ადიან მანსარდაში, სადაც სახელოსნოა. აქ უკვე ბავშვთა ფანტაზია შლის ფრთებს...

— ბავშვებს ამოუწურავი ფანტაზია და წარმოდგენის უნარი აქვთ, — თქვა შემდეგ ნინომ. — ხდება ხოლმე, ვუამბობ ზღაპარს და ისინიც მაშინვე იწყებენ გმირების ხატვას ისეთს, როგორც წარმოუდგენიათ. შემდეგ მარიონეტებით გვიჩვენებენ ამა თუ იმ როლს. ზოგჯერ არც გჯერა, რომ შენ წინაშე პატარები არიან...

ნინო ნიკარაძეს ჩინებული თანაშემწეები ჰყავს. ბავშვებთან სიამოვნებით მუშაობენ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატ